

საქართველო

19-20 1991




როცა ხევში ძაღლი იცნობს ზატრანს,
ხვენ მსოფლიო მაშინ ვვიცნობს მარტო!

ზაურ ბოლქვაძე

ნ.ხ. ჯამალ ლოლუასი

საპარტიოლოს დამოუკიდებელი კომპარტიის
ცენტრალურ კომიტეტს
ამაგამ პარტიის სოფილი წევრის
დავით იაკობის ქმ ტყვემალაშვილის
გ ა ნ ც ნ ა დ ე ბ ა



ვინაიდან ა/წ იანვარში გავედო თქვენდამი რწმუნებული პარტიის რიგებიდან, ახლა მაქვს ფინანსური პრეტენზიები ამ პარტიის მიმართ, რაც გამოიხატება 16728 მან. და 57 კაპიკში, ან თუ დავამრგვალებთ. 16728 მანეთში. ეს თანხა შეადგინა საწევრო გადასახადებმა, რომელსაც ვინდობი პარტიის რიგებში 28 წლის ყოფნის მანძილზე, ამ თანხას წყალი არ გაუვა, თუ არ გჭერათ, შეგიძლიათ შეამოწმოთ უწყისების მიხედვით. გარდა ამისა, მოვითხოვ დამიბრუნოთ 500 მან., რომელიც ქრთამის სახით გამოძალა ჩვენი ორგანიზაციის პარტიკომში ალ. ჭიჭინაძე იმისთვის, რომ ჩემთვის მოეცა პარტიაში შესასვლელი ანკეტა (ამ ფაქტს ალ. ჭიჭინაძე პირად საუბარში არც უარყოფს, მაგრამ დაბრუნებაზე უარს ამბობს დანაშაულის ხანდაწმულობის მოტივით).

იმ 28 წლის მანძილზე, რაც პარტიაში ვიმყოფებოდი, არ მისარგებლია არავითარი პრივილეგიებით, არ შემსახურებოდა შავი „ვოლგა“, არ მქონია ე.წ. „პაიოკი“, არ მისარგებლია დახურული მაღაზიებით, პრესტიჟული საგზურებით, თავის ფაზში არ გამომიტანია არავითარი საქონელი, არ მიმიღია ბინა, მანქანა და ათასი სიკეთე რომლითაც ესოდენ უხვად სარგებლობდნენ ხელმძღვანელი პარტიული ამხანაგები. გარდა ამისა, არ დამიკავებია ხელმძღვანელი თანამდებობები აქედან გამომდინარე ყველა პრივილეგიებით, არასდროს ვეწეოდი ქრთამის გამოძალვას, ბოროტად არ გამომიყენებია ჩემი თანამდებობა, არ დამიტაცია სახელმწიფო ქონება, შთელი სიცოცხლე ვმუშაობდი რიგით მუშაკად და არც პერსონალური პენსია დამინიშნია. ისმის კითხვა: მაშ, რა ჩემ ფუნებად შვირდებოდა პარტიის


რიგებში ყოფნა?! პასუხი ცხადია: ფუჭი ილუზიების. მორალური და, რაც მთავარია, მატერიალური (16728 მან.) ზარალის მეტი. პარტიის რიგებში ყოფნას ჩემთვის არაფერი მოუტანია! კატეგორიულად მოვითხოვ, რომ პარტიამ დამიბრუნოს 16728 მან. ან ჩამაბაროს ანგარიში, თუ რაში დაინარჩა ეს თანხა (არ მითხრათ, კომუნისმის მშენებლობის საქმეზე!).

გარდა ამისა, ვინაიდან 36 წელი ვიდრე ბინის მიღების აღრიცხვაზე, ბინას კი ვერ ვეღირსე, გთხოვთ, გამომიყოთ ცენტრალური კომიტეტის უზარმაზარ, თქვენთვის აწი გამოუსადეგარ შენობაში საში ოთახი ხედით ყოფილ პიონერთა სასახლის. თქვენს მიერ მოთვინებულ ბაღში, რათა შესაძლებლობა მქონდეს დღეში რამდენიმე საათი მაინც გავატარო ბუნებაში. დავტკებ ჩიტების გალობით და მშვიდად ვიფიქრო იმ დღე შეცდომაზე, თქვენდამი რწმუნებულ პარტიაში შესვლით რომ დავუშვი.

დასასრულ, კიდევ ერთხელ დაბეჭითებით მოვითხოვ დამიბრუნოთ ჩემი 16728 მან. და ჩაიბაროთ თქვენი ძირმომპალი, თავიდანვე მცდარი, მავნე და დაშლუპველი შარქს-ლენინ-სტალინის კომუნისტური იდეოლოგია და მოიხმაროთ ისე, როგორც თქვენ, თქვენს პარტიულ ამხანაგებსა და მათ შთამომავლობას გაუხარდება!

პატივისცემით სკკპ ყოფილი წევრი 1968 წლიდან
დ. ი. ტყვემალაშვილი
10 აგვისტო, 1991 წელი.
ამბოიწერა ს. შივიძე

ნახ. 3. კუციანსი



— იარალი ხომ არ გაქვს მანქანაში?!

საქართველოში



მავნა

„შეიშინა პარადოქსული სიტუაცია: ხალხი ერთსულოვნად გამოხატავს უალტერნატივო პოლიტიკურ ნებას, ქვეყანაში კი გრძელდება კომუნისტური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი მოვლენები: კორუფცია, შრომისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, საბოტაჟი, დამტაცებლობა, მაფიოზური კლანების თავე რეში“.

ზვნიად გამსახურდია

მტერი ერისა, ღვთის მადლის, მტერი სინდისის, ნათელის, მათა გველეშაპია, ყოველ სიკეთის მშთანთქველი..

ეს რა თარეში დაიწყო მაფიოზური კლანების?! — ქრთამით, მოსყიდვით, გაძარცვით, ტყვეობით, სისხლიან დანებით..

პურს გვართმევს, ხახლ-კარს, სიცოცხლეს, გვეყლის საკუთარ ბინაში, ურცხვად გვაფურთხებს, ხარხარებს მშრომელი ხალხის წინაშე..

მისთვის კანონი არ არის! მისთვის სამშობლო კუჭია, საკუთარ ბანდებს ამურებს, სკამებ-პოსტებიც უჭირავთ..

ყოველ დარგშია შეჭრილი, შეშხამებია ყველა დროს, თუ შიშით თვალს წაფუხუჭავთ, ველარ გავაზელო ვერასდროს!

ბილწთა, სატანის მსახურთა (იქ ჩოქობეთი მათ ელით) აღვსდგეთ, შევებათ გველეშაპს წმინდა გიორგის სახელით.

გიორგი კაკანაძე

ცოლ-ქმრის გაგანასება

თურქეთში წასვლამდე

— შენ რომელი უფრო მოგწონს, ვან-გოგი თუ რენუარი?
— რა დროს მაგათზე ფიქრია, ვერ ვიშოვე პენუარი!
— მაინც, მაინც რომელი სჯობს, პიკასო თუ მატისი?
— ქალო, თავი დამანებე, დარდი არ მაქვს მაგისი!
— მოდი, მაშინ, იცი, რა ვქნათ? შევადგინოთ გრძელი ხია, ბანკში ვალუტა ავიღოთ და მოვაწყუთ ექსკურსია! სახლში ხომ გვაქვს დედამთილის გადაყრილი ჩუხტები?
— ზოდა, ლიზი, მაგ ნაგავით იქ მოგვივა „შუშები“!

თურქეთში

— ხო, ხო, ეს რა „შმოტკებია!“ — გაიძახის რობინზონი, — მართლა რა კარგი უოფილა დალოცვილი ტრაპიზონი!
— ცოტა ფრთხილად, მართაც ჩემო! — ცოლს აფრთხილებს გურამი, — ხომ იცი, აქ თურქეთია, არ გეგონოს სურამი!
— არავინ არ მოგატყუოს! — შეილს არიგებს ლომენტი, — „პირამიდა“ თუკი შეგზვდეს, არ გაუშვა მომენტი!
— კარგი, კაცო, თავს მატკივებ ფუჭი რჩევა-დარიგებით, აბა, რა ვქნათ, გაღარიბდნენ თბილისელი „ბარიგები“!..

მთელ თურქეთში ქართველების არის ჩხუბი და გნისაი, ამიტომაც თურქის თვალში კაპიკია ჩვენი ფასი.

ოღლა მოღის თურქეთიდან!

თურქეთიდან მოღის ოღლა, ქალი, ალვად აღერილი, მასან-ოღლის ხაცვლის ზომა წიგნაკში აქვს ჩაწერილი..

ჩამოვიდა, საწყობები დაირბინა, მას რა მოღლის?! „ეს გრძელია, ეს მოკლეა, ამფერი არ უყვარს ოღლის!“

ზოგს თათები დაუწუნა, ზოგს — სათავე, — „არ კრავს ღილსო, კაცი არის თავმომწონე, ხვანჯარს ხომ არ გაუყრიხო?!“

მასანახთვის ლამაზს, ფერადს ქსოვილს იღებს ხაგანგებოდ: „კიდევ ჩავალ, შევუკერავ, მივაზომებ, მოვარგებო!“

ჩავრობს ქმარი, ნიკიფორე, მისთვის მზეც კი აღარ მზეობს, ამბობს: „კუა არ მაქვს, თორემ ნაღდად შემშლის კუაზეო!“

ისევ მიღის ოღლა თურქეთს, ვნების ცეცხლზე ფიქრებს ხალავს, ნიკიფორე აქ დაეძებს პერანგსა და მის ამხანაგს!

ალექსი ხუციშვილი (ქ. ს ა ჩ ხ ე რ ე)



„ბელარუსი“

დედაბაღალის საავარიო სამსახურებს, განსაკუთრებით კი წყალსადენის ცენტრალურ საავარიო სამსახურს, მუდამ უჭირდა მიწის მთხრელი მექანიზმები, ამ ათთოდე წლის წინ, მის მაშინდელ უფროსს, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, იმდენად გაუჭირდა, რომ ლექსიც კი დაწერა. ლექსმა ქალაქის მაშინდელი ხელმძღვანელების ყურამდღეც კი მი-აღწია, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა. ლექსში დაყენებული პრობლე-მა დღესაც მოსაგვარებელია.

წყალი მუდმივად რომ გქონდეს, ქართველი ხარ შენ თუ რუსი, ილოცე, რომ გამოუყონ ჩვენს ტრესტს ოთხი „ბელარუსი“!

არც საჩივარს ვგზავნიტ ხაღმე და არც წერილს პაპირუსით, ჩვენს გასაჭირს უშველიდა ალბათ ხამი „ბელარუსი“!

გვითხრეს: — „ოთხ ცალს გამოგიყოფთ, იმუშავებთ სრული კურხით!“ საქმეში კი სულხა დაფავს ისევ ორი „ბელარუსი“!

ავარიებს ველარ ვითვლით, შეგვაქვს წიგნში გრძელი ნუხხით, წამალივით გვიშველიდა თუნდაც ერთი „ბელარუსი“!

მიწას ხელით ვთბრით და ვშრომობთ ალალ გულით და ნამუსით, ღმერთო, იქნებ გვაპოვნინო, საღმე ძველი „ბელარუსი“!

შეგვიყვარდა „მიდროლუქსი“ და მისი ძმა — „ფეროლუქსიც“, მაგრამ ყველას გვიჩვენია მიწისმთხრელი „ბელარუსი“!

ზაურ აბუთიძე

ილია ზურაბაშვილი

სოციალური სოციალური

არცთუ შორეული წარსულიდან

კ ა მ ვ ლ ე ბ ი

ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს — მღვდლის ცოლი. ზოგს წითელი ფერი მოსწონს, ზოგს — ლურჯი. კაცია და გუნება! მაგრამ იყო დრო, როცა იძულებული იყავი ცისა ფერს წითელი უნდა გერჩია. არ არჩევდი და, ნედლი სიმინდის ტაროსავით გაგარჩევდნენ, ცხრაპირ ტყავს გაგაძრობდნენ და მერე ისე გაგალურჯებდნენ, რომ ღამდამობით თუ გამოხვიდოდი, ცის ფერი რომ არ დაგენახა... რალა შორიდან მოგუარო: **სტატისტიკურ კრებულს ვათვალიერებდი ქალაქ გორისა და გორის რაიონის შესახებ, რომელიც 1988 წელს დაინტაშა.** აქ არც მოყვანილი ციფრების რეალობა მებეჭებდა და არც კვლევის მეცნიერული აპარატი, მით უმეტეს, მისი ავტორის კეთილსინდისიერებაში არასოდეს შემპარგვია ეჭვი. ჩემი ყურადღება 1946 წელმა მიიპყრო. 151 კოლმეურნეობა ყოფილა ამ დროს! ყველა კოლმეურნეობა ცნობილი თუ გამოჩენილი (წითელი შკალით) ფუნქციონერის სახელს ატარებდა. გამაოცა წითელი ფერის ერთგულებამ და ლაციცმა. ეს არის და ეს. ახლა მოთმინებას ვთხოვ მკითხველს.

ღავრანტი პავლოვიჩი — პირველ ადგილზე!

ბერიას სახელს ატარებდნენ ნადარბაზევის, წითელი უბნის, ბერბუკის, კარაღეთის, იკნევის, დიდი წერეთის, დიდი ჯვარების, ტაშის, ფიცების და ოხერის კოლმეურნეობები — ათი კოლმეურნეობა!

დიდი ოხერი ვინმე იყო ლაერენტი პავლოვიჩი!

მინაწარი: ძველ გორელებს ახლაც ახსოვთ რკინიგზის უბანში ლენინის სარდაფის ფირნიში: „დიდი ოხერის ღავრენტი ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ღვინის წერტი“.

იოსებ სტალინი — შვიორე ადგილზე!

სტალინის სახელს ატარებდნენ პატარა მხურვალეთის (აღმათ სურვალეთის), შინდისის, ძევერის, დიდი ატენის, ყველაანთუბნის, ნადარბაზევისა და საყავრის კოლმეურნეობები — სულ შვიდი კოლმეურნეობა!

ჩალა ბირუტყვისაც არა ბყოფნიდა და ქვეყანა ყავრით იყო დახურული!

კლი(მ)ანტი მფრმოკიჩი — მესამე ადგილზე!

ვოროშილოვის სახელს ატარებდნენ ზემო სობისის, თედოშინდის, გაკლანთუბნის, ნაწრეთის (აღმათ ნაწრეთის), წითელი წყაროს (?) და ფიცის კოლმეურნეობები — ექვსი კოლმეურნეობა!

არც ფიცი მწამს და არც ბოლო მაკვირვებს!

შანიშვანა: ცნობები არ მოგვებოგება, რომელ სოფელში იყო გახსნილი პოლიგონი ან ტირი! ტირილით გეტყოდით სათქმელს, რომ არ მეცივნებოდეს!

მაკიაპაღლის სახელობის

„**ლენინის** სკოლის“ სახელს ატარებდა ახალი მხურვალეთის კოლმეურნეობა. ლენინის ანდერძით მოდიოდნენ ტუხრებისა და დიდთავის კოლმეურნეობები..

მე კი ლენინის ნამდვილი ანდერძიც მასსოგს, რომელიც ბევრად განსხვავდება სტალინის მიერ დაწერილი ლენინის ანდერძისაგან.

1907 წელი. ლონდონი. ლენინისა და ჟორდანის საუბრიდან. ლენინი: „ქართველები ნუ ერევით რუხების საქმეებში. თქვენ არ იცნობთ ჩვენს ხალხს, მის ფსიქოლოგიას, მის ყოფაცხოვრებას და რატომ ხელს გვიშლით ჩვენ ჩვენი საქმეები ჩვენებურად, რუხულად მოვაგვაროთ, აკეთეთ საქართველოში, რაც ვინდათ და როგორც ვინდათ!“

ჩემი შენ ვითხარო!

მკითხველთან ბოდიში მომიხდია, მაგრამ ტაკიმასხარა (გორკის გამოთქმა) მასხარას გარეშეც ისაა, რაც ამ სიტყვიდან დარჩება!.. ბოლოს და ბოლოს, რამდენი ანდერძი ჰქონდა ამ დიდთავა ანდერძიწერისა?

ფილიპე მას(ს)ხარაძე

მას(ს)ხარაძის სახელს ატარებდნენ ახალშენის, იფნარისა და ლუტის კოლმეურნეობები.

შანიშვანა: ლუტი — „კაცი უხახლკარო და უქონელი“ (ს ა ბ ა).

პიდევა: ქართლში ლუტა კამეჩს უწონორქებიან კამეჩს ექაბიან. ლუტა ხეს — დაბრეცილ და დაგრებილ ხეს. 70 წელი დასჭირდა მის ამოძირკვას, მაგრამ ზღვედაც არ გამოდგება. უწონ რქების ნარტენი კი ღლესაც გვატყვია!

„ივრალი ბიჭი“

ხვრალში გაძვრა და ორჯონიკიძის სახელი მიანიჭა ქვამხერლის კოლმეურნეობას!

ილია ჭავჭავაძე („გუბე“):

— „მე, მორჩილება თქვენთვის უქმი სიტყვა ყოფილა?“

— არამც თუ უქმი, კაცის ხულის დამამდაბლებელია. მე მართო ერთნაირი მორჩილება ვიცი, ხაცა გონება უფალი...“

მინაწარი: თუ გონება არ არის? იქ ხერგოა!

ორმოცი და კალინინი

სოფალი ორმოცი მის სახელს ატარებდა. რამდენი ორმოცი გადავიხადეთ, რომ ორმოცელ გლეხს ტვინი და ენა არ ეღრძო!..

მინაწარი: სახარატო ჩარხებზე არაფერია ნათქვამი კრებულში!

ძუ(მელა)ს ხევი

ასეთი სოფელს ვერ იპოვით გორის რაიონში!.. ფეტვის ხევის კოლმეურნეობა კი ანახტახ მიქოიანის სახელს ატარებდა. ნალდად მოიკოჭლებდა იდეოლოგიური მუშაობა გორის რაიონში, თორემ გადაეკრძაით სოფლისათვის სახელი!.. ნახეთ, რა ჯიშ-ჯილაგინად ეღერს: ქუმელას! ხევი!

მინაწარი: ფეტვის ხევის კოლმეურნეობა სტატისტიკურ კრებულში რიგით 121-ეა. აქაც იიდი შეცდომაა გაპარული — 27-ე უნდა იყოს!!!

სოფელ ზემო რუთის კოლმეურნეობა ჩაქუჩ-ნამგალის სახე-
ლობისა იყო რას არ გაიგონებს კაცი! ვითომ არ აჯობებდა, ორთი-
თი ან ტაბიკი? თუმცა სად იყო ტაბიკი! — 70 წელიწადი სულ ტა-
ბიკების მტკრევაში ვიყავით..

„ა“ — კონფედერატი

მამც კოლმეურნეობის დასახელებაა, ებრაელების კოლმ
მეურნეობა იყო. წინწკლებში ჩასმულ „ა“-ს გაშიფვრა თვითონ გერ-
ცელსაც გაუჭირდებოდა!

შენიშვნა: კონფედერატი — „კონფედერაციის შემადგენ-
ლობაში შემავალი ორგანიზაცია ან სახელმწიფო“ (მ. ჭაბაშვილი).
ებრაელების სახელმწიფო რომ არ ყოფილა გორის რაიონში, ცხა-
დია. „კონფედერაცია“ კი სახეზეა! რას არ მოიგონებს რაშაყი კაცი!
(მერედა, რომელი წლებია — 1940-1950! თუმცადა ქართველ ხალხს
ოდნავადაც არ შეხებია ამ ავადმოსაგონარი წლების ციებ-ცხელება).
უამიდასავით (ებრ. ჩუმი ლოცვა) აღვავლენდი გერცელ ბააზოვიან
სიტყვებს: „ვეაბა ლერეუცხა ქომოხა!“ — „გიუვარდეს შენი მო-
ყვასი შენსავით!“

აწინ!

ყალბებ შალომ — მშვიდობა თქვენდა!

სიტყვებს აღარ გავაგრძელებ. სრულყოფილად მაინც ვერ
აგინსნით, რა დამსახურება მქონდათ გორის რაიონში დემჩენკოს(?),
კაფანფვირის(?), ატანოვს(?), პაპანინს, გელმანს(?), ხუთწლიელებს,
ინტერნაციონალებს, რომელთა სახელებსაც ატარებდნენ გორის რაი-
ონის კოლმეურნეობები! კომუნისმის მშენებლობაში გართული თა-
ვი ავიწყდებოდათ... ქართული ავიწყდებოდათ!

აბა, წარმოიდგინეთ ასეთი განცხადება:

„ბოზნევის კაფანფვირის სახელობის კოლმეურნეობის

გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. მაიორა გაგლოშვილს
ამავე კოლმეურნეობის ნამდვილი წევრის ჩერმენა გაგლოშვილს

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გავიარე გზა ბოზნევიდან ბერლინამდე. მყავს ერთი ხარი. ვაშე-
ნებ კომუნისზმს.

გთხოვთ სათესლედ მახესხოთ ერთი ჩანახი ლობიო.

1 მაისი, 1948 წელი.

საწყალი ჩერმენა! ბერლინიდან მაინც წამოეღო ერთი ჩანახა
ლობიო! მგონია, კმარა!

წითელაზი

წითელაზს ბატონებსაც ეძახიან!.. ბატონებს უნდა უმ-
ღეროთ, დღუღუკით უნდა შეხვდეთ და გააცილოთ, თორემ, ვაი,
თქვენი ბრალო! აბა, ამ ბატონებს დააკვირდით: „წითელი ქართლი“
(ქვეში), „წითელი შრომა“ (ფლავისმანი), „წითელი სოფელი“
(ახალუბანი), „წითელი ვარსკვლავი“ (ახრისი), „წითელი ნაპერწკა-
ლი“ (მეჭუდის პირი), „წითელი სხივი“ (ახალდაბა), „წითელი ოლოჰ
ზი“ (ოლოზი), „წითელი მევენახე“ (პატარა ატენი), „წითელი სხა-
ვი“ (ქვ. ბოშური), „წითელი დროშა“ (ლევითანა), „წითელი ავკე-
თი“ (ავკეთი), „წითელი თორტიზა“ (თორტიზა), „წითელი ვარსკვ-
ლავი“ (სვენეთი), „წითელი მერეთი“ (მერეთი), „წითელი სხივი“
(ქვ. ტყვიავე)..

რა გადაწითლებული იქნებოდა გორის რაიონი! „სტოპ“-სიგნა-
ლებივით თუ ანათებდნენ სოფლები!

საოცარია, როგორ გამორჩათ წითელი ძახელი, წითელი კოწა-
ხური, წითელი ჭარხალი, წითელი პაშილორი, წითელი აგური, წითე-
ლი წიწკა, წითელი სისხლი, წითელი ციმბირი!.. მეც გადავაწითლე
ნამეტანი! თუ ეჭვი გეპარებათ, თვითონ ნახეთ ეს კრებული! ბევრ
სასაცილოს ამოიკითხავთ, სატირალი რომ არ იყოს! ვიცინოთ, სიცი-
ლიც წამალია, მით უმეტეს — ტირილიანი სიცილი!



— თურქეთში რომ უშვებ ცოლს ტურისტად, არ გე-
შინია, რომ გიღალატოს?!
— რავა, პირველად კი არ ვუშვებ, მეათეჯერ მიდის.
შე კაცო!..

ნახ. ბ. ლომიძისა



ქართველები,


ქართველები!..

ინტერვიუ გაზარში
ანუ
საბირველი ამბავი

— ქათმებს რას აფასებთ, დედი?
 — რომლებსა? ამათა? ამათა ოთხ-ოთხი თუმანი უნდათ, ამათ კი სამ-სამი!
 — ესე იგი, ორმოცი მანეთი და ოცდაათი მანეთი?!, ბევრი ხომ არ არის, ქალბატონო?
 — ბევრი? რა არის ბევრი?! აბა, დაიარე დაუქნები და მალაზიები, შავ კირს იშოვს კაცი გაწყდა ამათი ხინსილა! წყდება და ვერ გაწყდა, წყდება და ვერ გაწყდა! ესეც, რა თავში ვიხლი ამ თუმანიებსა და მანეთებს?! დოლარებს თუ ვუყიდი, ამით თუ გავწვადები საყიდლებსა!
 — საზღვარგარეთ აპირებთ წასვლას?
 — საზღვარგარეთ რა მინდა, როცა აქვე გახსნეს ამერიკული მალაზია! გავივლია საბურთალოს ქუჩაზე? ნახე, რა საქონელია გამოყრილი, სულ იმათი, შეერთებული შტატებისა, ჩვენი შეერთებული პროლეტარების თვალის დასაბრმავებლად! მანეთებში მოგართმევენ, დაიხს რა ჯინსები, რა ჭუბები, რა კაბები, რა შარვლები, რა ნიფხავ-პერანგები, რა ბავშვის სათამაშოები! ისე მიხვალ მგ მალაზიაში, არც ვინა გინდა, არც თვითმწირნავი, უყვებ საზღვარგარეთა ხარ! სად, რომელ მალაზიაში ნახავ ასეთ რამეებს! არა უყოფილხარ?
 — ვყოფილვარ, როგორ არა!
 — მერე?
 — მერე ის, რომ სახელმწიფოს ვალუტა უნდა და როგორმე უნდა ამოვქაჩოთ!
 — მათივე საქონლითა, არა? ფერდები მტკიცე ამდენი სიცილით! მე ჩემი საქონლით რა ამოვქაჩო, ამაზე დიდ თვალებს აბრძნალებენ. — ბაზარს ცეცხლი წაუკიდაო!.. თვითონ მთავრობა რა გადარია, აქეთ მოაწყდა, იქით მიაწყდა, ყველაფერი უღმერთოდ გააძვირა, ვითომ ფულიანების გასაყვლეთად, ეს არაფერი არა? მეც მინდა ეგ ვალუტა და ამიტომაც ვექაჩები! თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეგაშაო!.. ჩემ შვილიშვილებსაც უნდა ვუყიდო ნაირ-ნაირი ჩასამთელ-დასახურის! ამერიკული სათამაშოებიც!.. სხვაზე რა ნაკლები არიან, არ ვიცი!
 — რამდენი შვილიშვილი გყავთ?
 — ხუთი, ორი ბიჭი და სამი გოგო.
 — დმერთმა გაგიზარდოსო!..
 — გმადლობთ! შენც გაიხარე!.. იმათ ენაცვალთ ბებო! ჩავუტან ამეებსა, გულს გავუხარებ და ვეტყვი: აი, შვილებო, ესეც კომუნისმი გვიპირდებოდნენ და მაინც ხო მოვესწარით-მეთქი! იცინე, სიცილი კი გუნებაზე აუყენებს კაცსა!
 — მაშ, დოლარები, არა? ისე, მოძმეს ტყავი მაინც არ უნდა გააძროსო!.. ქართვე-

ლები ასეთები და ისეთები ვართო, კირში ერთმანეთის გატანა ვიციოთო!.. თუ ერთმანეთს წიხლს დაგვეტო და შევდრებს გავიტანთ, რაღა გამოვიდა?! ეს არი საქმე?
 — ყველაფერი ვიცი, ყველაფერი გამეგება!.. ამ ბაზარში რას არ გაიგონებს და რას არ ისწავლის კაცი!.. გულიც მეწვის და მეთუტება!.. მაგრამ რა ვქნა? მე როცა ეს ქათმები ხუთჯერ მანეთად გავყიდი, როგორც ძველად იყიდებოდა, გიჟი და ოხერტიალი ვგონებდი ყველას!.. მუსტარი ისე დამეცემა, ისეთ ზედახორას გამართავენ, ისე გაგლეჭენ ამ ჩემ ქათმებსა, თითო ლუკმაც არ შეხვდება!.. შეიძლება, ზეჯ მეც მიმყოლონ!.. გიჟი ვინ იქნება, იქ გამოჩნდება კარგი, გავყიდე ხუთ-ხუთ მანეთად, შემჩა ეს ფული და ჩანითაც მთელი გამოვყე იმ ზედახორიდან, მერე? რვა ქათმის საფასურში ერთი დოლარი რა ვიყიდი, იმით რა მომივა?
 — მაინც დოლარები, არა?
 — ზო, დოლარები, დოლარები!.. აი, ამათ ორმოც-ორმოც მანეთად დავყიდი, თითოში თითო დოლარი მომიწევს!.. ბევრია? არაფერიც არ არის ბევრი! თოთხმეტ ქათამში ბავშვის ერთი პაწაწინა ჩუსტები, ანდა ერთი ციდა ტრუსები და მაისურა თუ მომივა!.. კიდე სინდისიანად ვიქცევით, მეტს რა არ ვაფასებთ!..
 — მანეთებიც რა ძნელი საშოვნელია?
 — რაღაც არ გიტყობათ ქალაქელებს!.. ზოგი ისეთ ტყიცინა ასმანეთიანებს ატრიალებს, სად წაიღოს იმდენი ფული, არ იცის!.. არც შეგვეპყრება! რასაც დაუფასებ, გაძლებს თან ბლომდაც მიაქვს! დოლარებიც აქვთ, სტერლინგებიც, პესოებიც და მარკებიც!.. სულ დასტა-დასტა ჩაკეცილები შენა, შვილო, არიფი და კურსი მჭდამი დედაკაცი არ გეგონო, ქიციცი ვიცი და ქიცი-მაყურისც!.. ვისაც ფული აქვს, ჩემ ქათმებსაც ის იყიდის! მე ეგრე მიღირს აბა, რისზე თვის ჩამოვხებეთ იმ სიშორიდან? გიჟი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდაო!
 — არა, მაინც მეთისმეტი მოგვლის დედი!..
 — მე როცა ჩამაცვიდი და ჩოტზე მიანგარიშებ, მოძმეს ტყავი არ უნდა გააძროსო, ჩადი ერთი იმ პადვლებში, კერძო საკომისიოები რა გაუხსნიათ და იმათ უანგარიშე!.. სულ დავლოდი მაქვს!.. აქი გეუბნები, ციციქნა ჩუსტებში, აი, ამხელებში, თოთო ბავშვიანაში, ქაჯან, აქაოდა, საზღვარგარეთულიაო, ხუთასი მანეთიო!.. ერთ ქიქა ლუდში ოცდახუთი მანეთიო, კოლოფი სიგარე-

ტი — ისიც ოცდახუთიო!.. იმ დღეს გავეთ-ში წავიციოთე, — ასეთი მალაზიები საქაროაო, უნდა მივეჩვიოთო! საბაზრო ეკონომიკაზე გადავდივართ და იმითმოაო!.. ზოდა, ისედაც ტყავამძვრალებს, ისეც ტყავის გაძრობით გვაჩვევენ ახალახალ რამეებს, თან გვიხსნიან, გვარიგებენ და კვლავ გვასწავლიან, რომ ამ გზით გვეშველება თუ გვეშველებაო! მეც იძულებული გამხადეს, ქათამი სპილოს ფასად გავყიდი, რაბან სხვა გზა არა უყოფილა! იმ დღეს საკომისიოში ფეხსაცმელი ვნახე, აი, ბოტასებს რომ ედახიან, ვნახე და, იცი, რა დამემართა? ვუუუურბე ფასსა და თვალებს არ ვუჭერები! ვუუურბე და თან ვფიქრობ, ცუდად არი შენი საქმე, სოფო, ხო არა ბრმავდები, ქალო, თვალები უცნაურად გიჭრელდება-მეთქი! მომეჩვენა თუ რა იყო, არ ვიცი, გამოიღველს მაინც დავკეთებე, მართლა ამდენი უნდა ამ ფეხსაცმელს-მეთქი? ზოოდე, რაც აწერია, სწორედ იმდენიო, — ისე არხინანდ მიხასუბა, ვითომ არაფერი იმ ფასად ჩემშია კოლაპ ჩელობაში „პობედა“ იყიდა, კიდეც გეცინება, არა? ნეტაი იმ დღეს, ახალთახალი რა შემოაგარიალა ეწოში სწორედ ამ ბოტასების ფასად იყიდა, წმინდა გიორგის მადლმა! ჩემი სიმწრით დაზრდილი ქათმებისა უკვირთ ამ დალოცვილებს! აი ასე, გენაცვალოს სოფო ბაბო, გააიფონ და გავაიფები! არ გააიფებენ, გააძვირებენ და მეც რაღაც-რაღაცები გამეგება ამ ბაზარსა, მეც ისეთ ცეცხლს წავუკიდებ, ისე ავარიალებს ხანაარსა, ისეთ მღუღარებას გავუჩენ ამ ჩემ ქათმებსა, ორმოცად და ოცდაათად კი არა, ას-ასად და ორას-ორასად მოვანატრებ მააშ!



ქართული ზანუხეტი

ქართული
ლიტერატურა

ხელმწიფის საიდუმლოება

ძალიან შორეულ წარსულში ერთმა ხელმწიფემ ასეთი საყვედურით მიმართა თავის ნაზირ-ვეზირებს:

— ვთათბირობ თქვენთან სახელმწიფო საქმეებზე საიდუმლოდ და, მიუხედავად ამისა, მეორე დღესვე მაინც მთელმა სახელმწიფომ იცის!

ამან დააფიქრა ერთი უფროსი ვეზირი და შინ რომ მივიდა, შეეცადა თავისი მეუღლის გამოცდას, თუ როგორ შეინახავდა იგი ქმრისგან საიდუმლოდ ნათქვამ სიტყვას და წინასწარი გაფრთხილებითა და სიტყვის ჩამორთმევით, რომ არსად არ გაამხელდა ქმრის ნათქვამს, უთხრა მეუღლეს:

— ქალო, ჩვენს ხელმწიფეს დიდი უბედურება დაატყდა თავს, მისმა მეუღლემ, ბავშვის ნაცვლად, ხბო შობა, ამას ძალიან საიდუმლოდ ინახავენ და არსად არ წამოგცდეს! — კიდევ გააფრთხილა ცოლი, მაგრამ იმ ღამით ქალმა მოსვენება დაკარგა და ვერ დაიძინა, ადგა, ქმრისაგან ფარულად გავიდა მათთან ახლოს მცხოვრებ სხვა ვეზირის ცოლთან, გააღვიძა და უთხრა თავისი ქმრისაგან ნათქვამი „ახალი ამბავი“. მეორე დღეს ჩვეულებრივზე უფრო ადრე წავიდა სამსახურში მეფის სასახლისაკენ უფროსი ვეზირი და წინ შემოხვდა მეზობლად მცხოვრები ვეზირი, რომელმაც მისალმებისთანავე უთხრა:

— შენც შეიტყობდი, ალბათ, რომ ჩვენი ხელმწიფის მეუღლეს ხბო უშობია!

რადგან თავისი საიდუმლოდ ნათქვამი ცოლთან მეორე დღითვე წინ დახვდა, ამით უკვე დაასკვნა უფროსმა ვეზირმა, რომ მათი სახელმწიფო საიდუმლოების გამცემები იყვნენ ქალები — მათი მეუღლეები!..



იხადის გატრუება

არ იყო სახელმწიფოებრივი მომღერალი, პირიქით, მისი სიმღერის მოსმენა არავის სიამოვნებდა და მაინც ცდილობდა, რომ მისი სიმღერა ხალხს მოესმინა! მიუხედავად ძლიერი ყინვებისა, ზამთარშიც გამოაღებდა ხოლმე თავისი ოთახის ქუჩისპირა ფანჯრებს და არასასიამოვნო ხმით, ჰთელი ძალით გაჰკიოდა, დროდადრო ფანჯრიდან გადაიხედავდა, — გამვლელები მისმენენ თუ არაო, მაგრამ მის სახლს როგორც კი მიუახლოვდებოდნენ, ერთბაშად აუჩქარებდნენ ნაბიჯს, გარბოდნენ!.. ერთხელ კი ცას ეწია მომღერალი: გადაიხედა და რას ხედავს — დამდგარა ერთი დედაბერი ქუჩაში, მომღერლის ფანჯრის მოპირდაპირე მხარეს და ცალ ყურზე შალაწეული გულდასმით უსმენს, სიხარულით აღტაცებულმა მომღერალმა გადასძახა: — ბებია, მე მისმენთ? მოგწონთ ჩემი სიმღერა? ამობრძანდით ჩემთან, მანდ, ქუჩაში, არ შეგცივდეთ!

— არა, შვილო! ამ ორიოდე დღის წინ ძროხა დაეკარგე და, მეგონა, ის ზღაოდა! — უპასუხა დედაბერმა და გაბრუნდა.

ჩაიწერა სარდლონ არჯევანიძემ

(ქ. ახმეტა)

პარტი ტონის ანგანი დამუშავ პოლიციის
აგენტებისთვის
(დასაწყისი კურსი)

რატომ არ იფუჭსიტყვათ, ნათბალაში
არ გაებათ და არ დაკომპლექსდეთ იმ შემთ-
ხვევაში, როცა თქვენ მოულოდნელად აღ-
მოჩნდებით „მაღალი საზოგადოების“ ადა-
მიანთა კომპანიაში (როგორც ცნობილია,
ისინი, თითქმის ყველანი, მაფიოზები არიან!),
გმართებთ ასე მოიქცეთ და, აი, ესენი იყო-
დეთ:

მარბილი

1. ლირკე და ლორკა პოეტები არიან .
2. კაფკა და ხანდკე — პროზაიკოსები.
3. დოსტოვესკი, ტარკოვსკი და კობო ამბივალენ-
ტურნი და პოლიფონიურნი არიან. ამ სიტყვების მნიშვნელობა შეგიძლიათ დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში ნახოთ. იქვე შეგიძლიათ იხილოთ მნიშვნელობები სიტყვებისა: ინფანტილიზმი, კათარზისი, ლეტალური, ლეთარგიული, მაზონიზმი, მედიტაცია, პარანოია, სიონი-
ზმი, სუბლიმაცია, ტრანსცენდენტალური.
4. მახვილი სიტყვა „კათარზისში“ მოდის პირველ ნახევარზე.
5. ანდრეი პლატონოვი ერთ დროს მეფოვედ მუშაობდა, ევგენი პეტროვი — მილიციელად.
6. ზარატუსტრა, რომელიც „ასე ამბობდა“, ირანელი წინასწარმეტყველია, დიდი ხანია მოკვდა და მუსულმანი არასოდეს ყოფილა.
7. ჩინური პოეზია იაპონურ პოეზიაზე ბევრად უფრო ფაქიზი და ღრმაა.
- 8-9. ალტაცების გამოხატვისას გმართებთ წამოიძახოთ: „სიუ-უ-უ-რი!“ (ეს მომდინარეობს სიტყვა „სიუ-რეალისტურიდან“, რაც „ძალიან კარგს“ ნიშნავს).
10. მფრინავი თევზი თქვენ ნახეთ შარშან, ზაფხულში, ღამის 2 საათზე, 8 მარტის ქუჩაზე, თქვენთან ერთად ის ნახა ექვსმა ადამიანმა, მათ შორის ბიძათქვენმა დედის სახით.
11. ხალვადორ დალი — ის არის „სიუ-უ-უ-რი!“
12. შილსი — ესაა ყველაზე ტკბილი თვითმკვლელობა.
13. ფროიდი — ესაა ფსიქიატრი, რომელიც გვასწავლიდა, რომ ყველაფრის თავი და თავი სექსია.
14. არტურ შოპენაუერი იყო სიცოცხლისმოძულე და ფილოსოფოსი, რომელიც გვასწავლიდა, რომ ყველაფრის თავი და თავი ნებელობაა.
15. ფროიდს ზიგმუნდი ერქვა.
16. დანტე იტალიელია, მან დაწერა „ღვთებრივი კომედია“. დანტესი ფრანგია, რომელმაც ესროლა პუშკინს.
17. დაიხეპირეთ მანდელშტამის რომელიმე ლექსი და ხელსაყრელ მომენტში გამოთქმით წაიკითხეთ ის მალა, 45 გრადუსით თავაწეულმა.
18. თავისუფალ დროს პირი ზღვის კენჭებით გამოიტენეთ და, როგორც ამას ძველბერძენი დემოსთენე

აკეთებდა, ივარჯიშეთ დიქციის დაყენებაში, რისთვისაც მრავალჯერ გაიმეორეთ: „ე-გ-ზი-სტენ-ცი-ა-ლი-ზმი“

19. თქვენ ძალიან გიყვართ ჯაზი, იმიტომ რომ იქ არის სინკოპე (სინკოპე — ბერძ. შეკუმშვა. ძველი მუსიკალური მახვილის გადანაცვლება ტაქტის ძლიერი ნაწილებიდან სუსტზე. მთარგმ.).

20. ბახი დიდი კომპოზიტორია, მაგრამ, სამწუხაროდ, ის დილეთანტებს უყვართ. ბახი და ორგანი სულაც არ არის ერთი და იგივე.

21. საუბარში ყველაზე მეტად ერიდეთ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „ფისტონი“, „ვხებრდები“, „თრევა“, „ნუ შადრევნობ!“ „ფინიში“, „გაფრენა“. მით უფრო: „არის, ამხანაგო მაიორო!“ უნდა ილაპარაკო მოხდენილად: „მე ჭკუაზე აღარა ვარ!..“, „ტურფაკულად“, „საინტერესოა“, „ღირს“, „მე ეს არ მიშობნირებს“, „გეთანხმებით თქვენ!“

22. ფსიქოლოგიურ „როკს“ (სიტყვების თამაშია: რუსული სიტყვა „როკ“ — ბედისწერა და „როკ“ სიტყვათა კომპლექსში „როკ-მუსიკა“ — მთარგმ.) ჩვენ პირველად უკვე ბითლზებთან ვხვდებით.

23. მხატვარი ტულუზ ლოტრეკი იყო ქონდრისკაცი, ბეთჰოვენი — ყრუ. ბაირონი კი — კოკლი.

24. კანდინსკი აბსტრაქციონიზმის მამაა. კანდინსკი — ეს უნდა ნახოთ!

25. კაზიშირ მალევიჩმა სურათი „შავი კვადრატი“ ჯერ კიდევ რევოლუციამდე დახატა. მალევიჩი აბსტრაქციონიზმის ერთ-ერთი მამაა. ეს უნდა ნახოთ!

26. ომარ ხაიამი რუბაიებს წერდა, შექსპირი — სონეტებს, ზასიოხოკუს ტაკუბოკუ — ტანკებს.

27. თქვენ წაიკითხეთ გაზეთში, რომ ლათინურ ამერიკაში თავიანთ ფერმაში აქამდე ცხოვრობენ შიტლერი და ევა ბრაუნნი.

28. ჭეშმარიტება ჩვენში, თქვენში და მათშია.

29. ანტონიონი ფელინის სჯობია, კუროსავა კი ანტონიონიზე უკეთესია, საერთოდ, იაპონელები მხეცები არიან.

30. დოსტოვესკი ტოლსტოის სჯობია და პირიქით.

31. სინათლე აღმოსავლეთიდან მოდის. იკებანა ყვავილების თავიგულია, საკე — ბრინჯის არაყია; შაოს კი უყვარდა თქმა: „რომ იცურაოთ, ამისთვის უნდა იცურაოთ!“

32. კარატე იგივე ძენია, ძენი იგივე იოგაა, იოგა იგივე ნირვანაა. ნირვანა ეს არის სიუ-უ-ურ.

33. „სიურეალისტისკისგან“ განსხვავებით, სიტყვა „მარაზმი“ ერთი „რ“-თი იწერება, სიტყვა „მარაზმი“ უკვე მოდაში არაა, მის ნაცვლად უნდა თქვათ: „ეს მე არ მაწყობს!“

34. ჭკვიანი და ერთდირებული ადამიანების გარეშე ცხოვრება მოსაწყენი იქნებოდა. ყველაფრის თავი და თავი ინტელიგენტები არიან!

ანბანი შეადგინა ანდრეი კოზლოვმა, რომელიც ცხოვრობს ქალაქ სვერდლოვსკში. ეს ურალია. „პრიპი“ (პრიპინალური პრონიკა) პირველი გამომუშავება.

თარგმნა ჯუშუბარ თითქმერიამ



კომუნისტების დროშია!..

კომუნისტების დროშია
ახე არ იყო, რომ გვშია —
ეუარა სახმელ-საქმელი
და ღირდა თითო გროშია!..

ხელ-ფეხში ბორკილგაყრილი
ვერ იქართველებს ქართველი,
თორემ, საკლავად დამწყვდეულს,
არც ღორს აკლია საჭმელი!

ზოგი რომ კუჭით აზროვნებს,
ეს ჩემში ეჭვსაც არ ბადებს!
როგორც ჩანს, კომუნისტებმა
ბორკილი ტვინზეც დაგვადეს!..

**ჩავუსტით
გამსახურდინას!..“**

„იმელთან“ შევეკრათ პირობა,
ჩვენ გაუხდეთ ბილწი ძმანია,
მთავრობის სახლში შევცვივდეთ,
თავს დავაქციოთ ბანია,
ჩავუსტეთ გამსახურდინას,
გავუბათილოთ „ზვანია“!..
კვლავ გავიხსენოთ ქართული
პარტოკრატის მანია!
ვიჩქაროთ, სანამ მხარს გვიბამს
ჩვენი „დიდი ძმა“ ვანია!
მტრად ვეპცეთ ქართულ პარლამენტს,
არ მივცეთ გასაქანია!..
ჩვენს წისქვილს გადავუწუროთ,
მტრისას მივუშვებ წყალია!..
სკამისთვის ძმათა სიხლისღვრა
ძველია, არ ახალია!..

**ვაი, ჩვენს პატრონს,
უბედურს!..**

ცოტაც და... დედათბილისი
დაემსგავსება ბაზალეთს!..
თავის მართლების უფლება
ალარ გვექნება აღარც ერთს!
„ხომ არ გაგიუდი, ქართველო?! —
გვაფრთხილებს უცხოტომელი. —
მთელ საქართველოდ რომ ღირდეს
ვინ გეგულებათ, რომელი?!
რამ გადაგრიათ?! ვის ებრძვით?!
ვის დამარცხებას აპირებთ?!
ხალხო, მამას კლავთ საკუთარს:
საკუთარ დედას ატირებთ?!“
ვინ იფიქრებდა, ქართველი
იზამდა ამდენ უკეთურს?!
ვაი, ჩვენს პატრონს, უბედურს!
ვაი, ჩვენს პატრონს, უბედურს!

ნიკოლოზ იოსებაძე



ნ.ბ. მ. აბაშიძისა

შენიშვნა

პარტიული
ბიულეტენი

ბუნების დამცველთა შეიარაღებულ ფორმირებაში!

ზინაიდან ბუნება საერთო სახლი და საერთო დედაა ჩვენი...

ზინაიდან საყოველთაო უგულობა და უყურობა უპირველესად ბუნების უწყინდეს გულსა და ფილტვებზე ტოვებს კვალს...

ზინაიდან აღამიანებმა ურთიერთ ურთიერთობების გარკვევა ბუნებასთან ურთიერთობის მოგვარებით უნდა დავიწყოთ...

ზინაიდან დღემდე ვერანაირმა მშვიდობიანმა საზოგადოებამ საქმეს ვერ უშველა...

ზინაიდან ბუნებას თათბირები და დადგენილებები კი არ უნდა, არამედ მკლავების დაკაპიწება...

ზინაიდან ბუნების დაცვა მართლა თავდაცვას კი არ გულისხმობს, არამედ, უპირველესად, თავდასხმას („თავდასხმა საუკეთესო თავდაცვაა!“ — ამ შემთხვევაში შეუვალი სიბრძნეა)...

ზინაიდან არც აღმასკომს და არც დაღმასკომს მუშტის გარეშე არაფერი ესმის...

ბადაყუდა შეიქმნას —
ბუნების დამცველთა შეიარაღებული ფორმირება „კომბალე“!

ამ ფორმირებაში გაერთიანების უფლება აქვთ ნებისმიერი ასაკის რომელიმე ავადმყოფობის ცნობის წარმომდგენ მოქალაქეებს (ჯანმრთელები ბუნების ფასის გაგებაში სანდონი არ არიან).

ოფიციალურ შეიარაღებაში ირიცხება: კეტები, კომბლები, შურდულები, მრგვალი (რიყის) ქვეები, წკებლები... (მიწის სამუშაოების დროს დასაშვებია თოხების, ბარების, ფიწლების... გამოყენებაც)...

შეიარაღებული ფორმირება განახორციელებს ტერიტორიულ ღონისძიებებს იმ პირთა მიმართ, ვინც ბუნებას მტრულად მოეპყრობა, ვინაც ბუნებისათვის სიკეთის ქმნა ევალება, მაგრამ არ აკეთებს!

სღვინის იმ პირებს, ვინც სავარგულეებისა და წყალსატევების დაბინძურებას უწყობს ხელს...

იმ ხელმძღვანელებს, ვინც კეთილმოწყობისა და გამწვანებისათვის საჭირო თანხებს ფლანგავს...

იმ „ქართული აკადემიის“ წევრებს, ვინაც სიმადრისას ნახუფრალის ალაგება ავიწყდება (თუ მანამდეც ახსოვდა!)...

იმ უტკუო თვითმცდელებს, რომლებიც, სადაც მოეპრანებათ, წაგავს იქ ყრიან...

იმ პედაგოგებს, ვინც აღსაზრდელებს ხისა და ყვავილის გარჩევას არ ასწავლის!

იმ ყმაწვილებს (წკებლით), რომლებიც საკუთარი მშობლების მსგავსად იქცევიან, და მშობლებსაც (კეტით), თუ ამას შვილები მათს თვალწინ აკეთებენ!

შეიარაღებული ფორმირების მოქმედების არც საქართველოს ტერიტორიაზე შეუღუღული არ არის!



რევიონალური და პირველადი ორგანიზაციები იქმნება და მოქმედებს ნებისმიერ დასახლებაში და ნებისმიერ დაწესებულებაში!

ფორმირების სახელით დასაშვებია პარტიზანული და სხვა არაფორმალური მოქმედება და თვითმოქმედება (შეიარაღების შეცვლის ნებართვის გარეშე).

ეს ბოლო გაბრძოლებაა: ვინსნათ ბუნება განადგურებისაგან!!!

კომბალე იმოს ჩვენი მზარველი!

ბუნების დამცველთა შეიარაღებული ფორმირება „კომბალე“ სახელით — ავთანდილ არაბული.





... უველა ტაქსისტი და ყველა მგზავრი, შოფერი ქალი, თვალბმეყვალა, დღეს დიდ გაქირებებს განიცდის ბენზინის გამო, უფრო ზუსტად, უბენზინობის გამო! მართალია, მე წარმოშობით უმანქანოთა კასტას ვეკუთვნი და ბავშვობიდან ფეხით სიარულის სინდრომი დამჩემდა, მაგრამ არც ისე მთლად წყალწალბებული კაცი ვარ, რომ სხვისი ჭირი არ გავიზიარო და ღობის ჩხირად მივიჩნო! კო, ბატონო, მე (ჯანდაბას ჩემი თავი!) შეჩვეული ვარ და ვივლი ფეხით, მაგრამ ახლა მანქანის მფლობელებმაც რომ დაიწყონ ფეხით სიარული, ეს უკვე არ ივარგებს! ჭერ ერთი, ეს საწყალი, ჰიპოდი-ნამიურობით შეპყრობილი ხალხი, უჩვეულო დატვირთვების გამო, სულ მოკლე ხანში გაიფუტებს ქვედა მსხვილ ვენებს და ქვედა კიდურების კაპილარებს! შეორეც, ჩვენ, პროფესიონალ ქვეითად მოსიარულეებს, გავვიუარესდება სიარულის პირობები დილეტანტ-ფეხით მოსიარულეების მოჭარბებით! რა თქმა უნდა, ერთიც და მეორეც არასასურველი იქნება, ამიტომ გადავწყვიტე, ისეთი რამე მიუფიქრებინა, ამ საქმეს რომ უშველიდა. ვიფიქრე, ვიფიქრე და,


დალაზეროს სადამ პუსეინმა, ეტყობა, ცოტა ზედმეტად მომივიდა. ცოტა კი არა, ალბათ, კარგა გვარიანდაც, თორემ, აბა, ჩემს სი-ცოცხლეში რრი პწყარი არ გამიჩითმავს და ყქ კიდევ, უნებლიედ და ერთბაშად ილიას ცნობილი სტროფი გადავაკეთე ბენზინის ში-ტივზე. აი, ისიც:

ბენზინის შქონე შენ ძმად მიგაჩნდეს. —
ეგ ვერაფერი სიუვარულია.
ხაქმე ის არის, კაცს ის უუვარდეს.
უბენზინობით ვინც ტანჯულია!

ერთი ხანობა ეს სტროფი მშველოდა და ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე გულარხინად ჩაეალიდინებდი ხოლმე ჩემთვის, რად-განაც ვლმობდილად ვთვლიდი საკუთარ თავს მძლოლების წინაშე: ა, ბატონო, ხომ მოვეუწოდე კაცებს, გიყვარდეთ უბენზინო მძლოლე-ბი, აწი თქვენ იცით, მე კე ზელები დამიბანია-მეთქი! მაგრამ, მერე და მერე, თანდათან საამბონო ფიქრები მომეძალა და, ბოლოს, ექვის ქვეშ დაგაყენე კიდევაც ამ სტროფის საზოგადოებრივ-ეკონომიკური მნიშვნელობა. მართლაც და, ფაქტურად რა გამომდიოდა მე, ამ კუბლეტის ავტორს? მხოლოდ ის, ვთქვათ, დიდი-დიდი, ერთი ქვეი-თად მოსიარულე, ჩემი სტროფის წაკითხვის შემდეგ, თუ ამოუდგე-ბოდა მას მხარში ცარიელი კანისტრის წინ. ხოლო რეალურად იგი ჩემგან არაფერს ლებულობდა. უარესიც — შეიძლება მოტყუებუ-ლიც კი დარჩენილიყო, ჩემი სტროფით მეტისმეტად დაიმედებულ-რალაც სხვა რამე უნდა მომეფიქრებინა, სარგებლიანი და უშუალოდ გამოსადეგი. ისევ დავიწყე ფიქრი. ვიფიქრე, საფეთქლე-ბიც კი შემისველა ოფლისაგან და, როგორც იქნა, მოვიფიქრე ასე-თი. გარგნულად ერთი შეხედვით მარტივი ხერხი — იარონ მძლო-ლებმა ნახევრად გავხებული ბენზინის ავზით და ნახევარიც შინ და-ტოვონ! ქვემოთ ჩამოთვლილია ის კონკრეტული შემთხვევები, რო-დესაც ნახევრად გავსებული ავზის მეთოდი უფრო ამართლებს და გამოსადეგია, ვიდრე ავზის დაუფიქრებლად გავსება.

1. გამტაცებელი ორჭერ უფრო ნაკლებ მანძილზე გაიტაცებს მანქანას.
2. მანქანის აფეთქების შემთხვევაში ორჭერ უფრო ნაკლები სიმა-ძლიერის აფეთქებას ექნება ადგილი.
3. უღვევი არაფერია ქვეყანაზე — ხავსე ავზიც გათავდება და ნახევრად ხავსეც. მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში ერთი იმდენი ბენზინი კიდევ რჩება შინ.
4. მძლოლი მოერიდება გაუმართლებლად შორ რეიხებს (ნახევ-რად ხავსე ავზის ფაქტორის), რითაც აიცილებს შორი მგზავრობისას შესაძლო ფათერაკებს და ცალკე კიდევ ბენზინსაც დაზოგავს.
5. შინ დატოვებული ბენზინის გამოყენება დალაქავებული ტა-ნისამოსის გასაწმენდად და პარკეტის გასაპრიალებლად.
6. ორჭერ უფრო ხშირად მოხლოდნელია ბენზინის მოულოდ-ნელი გათავება გზაში და მუქთად მისი ჩახხმა სხვა გულმომწყალებ მძლოლებისაგან და პირიქით. საკუთარი ბენზინის სხვისთვის არგა-ცემის უფრო მტკიცე საფუძველი (ისევ ნახევრად ხავსე ავზის ფაქ-ტორის).
7. უფრო დამზოგავი იქნება (მანქანისათვის) ხაექსპლუატაციო რეჟიმი. რადგანაც, ხად ყოველთვის ნახევარი ავზის დახარჯვის შემ-დეგ საერთო განვლილი მანძილი და ხად მთლიანი ავზის დახარჯვის შემდეგ?
8. ორჭერ უფრო ნაკლებად გაქუტყუიანდება მარეი გამონახობლ-ქვების გამო შედარებით ხავსე ავზის დახარჯვისას (მარტო საკუთარ მოგებაზე ხომ არ უნდა იფიქროს სულ კაცმა, ეკოლოგიის ზოგად-საკაცობრიო საკითხებიც არ უნდა დაივიწყოს!).

ბოლოს შევნიშნავდი, რომ ზემოთ აღწერილი ჩემი მეთოდი კი-დეც იმით არის კარგი, რომ ძალიან ადვილად შეიძლება მისი შე-მდგომი კიდევ უფრო გაუმჯობესება. აი, მაგალითად, საკმარისია დაიწყონ ქარხნებმა ნახევარავზიანი მანქანების გამოშვება (ეს სულ ადვილია და თან მასალაც დაიზოგება) და შემდგომ გამოყენებულ იქნეს ჩემი მეთოდი, რომ მიღწეული იქნება ერთბაშად უკვე ოთხ-მაგი სასარგებლო ეფექტი (იხილეთ ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტე-ბი, გარდა მე-4 და მე-5-ისა). რა თქმა უნდა, საზოგადოდ ამ გზით შეიძლება სასარგებლო ეფექტის გაზრდა რვაჯერ, თექვსმეტჯერ და უფრო მეტჯერაც; მაგრამ ეს უკვე შორეული მომავლის საქმეა, ხო-ლო დღეს მთავარს გადაიდგას პირველი ნაბიჯი და მძლოლებმა გა-ბედულად დაიწყონ სიარული ნახევრად გავსებული ავზებით.



თუ მატარებელს არ დახვდა ტაქსი?
 გულს უხარია ხარაჩოები,
 როცა შეავლებ თვალს ახალ ფასადს,
 მაგრამ ბინების გარემონტება
 უვლას უჭდება სიციხის ფასადს!
 ჩვენი მორიგე მალაჩიები,
 თითქოს ფრთოსნების ფრთებზე გვერწიოს!
 ხომ შეიძლება, ოჯახს სტუმარი
 ათი საათის შემდეგ ეწვიოს?
 რაგინდ ვიჩქაროთ, რაგინდ ვირბინოთ,
 სრბოლით დაფაროთ მანძილი შორი,
 სასმელებზე რომ არაფერი ვთქვათ,
 ქათამს კი არა, ძეხვს ვერ იშვია
 მაცივრებს ხშირად კრიკა ეკვრებათ,
 უინული ლხვება შუქზე ლივლივით,
 ძალზე აწინებთ თევზის მოტანა, —
 არ აყროლდესო შარშანდელივით!
 მალაჩიებში საპანის საძებრად
 ათჯერ მოვბრუნდი, ასჯერ მივბრუნდი..
 მომხმარებელთა ოცნებად რჩება
 „ბორჯომი“, „ზევარი“, ბურანი, ლუდი!
 ნუ გამახსენებთ კონკრეტულებს,
 ზოგჯერ ხმა ისმის გულშეხაზარია:
 თვითონ ხომ არა ახადიათ რა,
 ჩვენც გაგვიძვირებს ძალზე ხაზარი
 პამიდორი თუ კიტრი, მწვანელი, —
 თუმცე რად გვჭირდება ფართო სიები, —
 არც ხილი არ გვაქვს მაშ, რისთვის გვინდა
 საკომისიო მალაჩიები?!

მაგისტრალები მოიკარწყულა და
 დაგებულ ასფალტს შევუბრუნებ გზნებით!
 ნეტავი, მალე თუ შეკეთდება
 მალაროების ან სოფლის გზები?
 ქიათურის და საჩხერის სახზე
 საწარმოებს ხომ არა აქვთ ზღვარი!
 მშენებლობა თუ ახარებს მნახველს,
 ნაგავს და ჭარბსაც შეამჩნევს მგზავრი
 თითქოს ფრთოსნებიც უჩვეულებენ და,
 მთებიც აძლევსო ხანს მათ მოძახილს!
 სამსახურიც და მიხი მიდამოც
 გვიყვარდეს ისე, როგორც ოჯახის
 ბაღებისა და სკვერთა სიკეთეს,
 მანციფრებს, ზოგჯერ რად ვერ აფასებს?!

დაგვის მაგიერ მწვანე ბუჩქნარებს
 ქილებითა და ნაგავით ავსებენ!
 ქალაქის ცენტრში გაბმულ მავთულზე
 ქარი, აშარი, მუხიკას უკრავს!
 ხომ შეიძლება, მოხინდარეთა
 ხარეცხი გაშრეს ლოჯების უკან?
 ყველა პრობლემას განა ავსახავთ?
 სჯობს, დარდით რომ არ ამოვიგმიროთ,
 კარგი შევაქოთ, გავიცხოთ ცუდი
 და წერილმანებიც გამოვავლინოთ,
 ახლა, როდესაც სტიქია გავიტევს,
 ვცდებით ძალ-ღონე არ დავიშუროთ,
 როცა უვირილას გავხადეთ თაღბი,
 ლურჯი ტალღებით მოშარიშურობს!
 რომ ჩუხჩუხებდეს ონკანში წყალი,
 კლდეებს და ვაზებს ნაყური მოვსვი,
 მზის სხივებს ცამდე აუტაციათ
 სიმღერა ახალ საქართველოსი
 დღეს ჩვენ ამ სიტყვებს ვამბობთ ხმაშაღლა,
 ამ სიტყვებს ვამბობთ განცდით და ლეღვივთ,
 ფასი დაედო ოფლისღვრას, შრომას,
 ქალაქს ეტყობა შურუნველი ხელი..
 მას სახვადიო სიტყვა ეძღვება,

ვინც ერკინება მთებს ვაუცურად!
 დროა, ერთმანეთს დავუდგეთ გვერდით! —
 ეს ჩვენმა უოფამ დავიდასტურა!

წ ა ნ ი შ რ ტ ი ბ ი

ლიფტის მუშაობის მუშაობებს

მეზობლები უხიზლად დგანან,
 „კლოსკოთი“, რკინის კეტებითი..
 აბა, სხვამ ვინღა გვიშველოს,
 ლიფტში რომ ჩავიკეტებით?
 ჩვენი ტანჯვით არც თქვენ გილბინთ,
 ერკინებით საქმეს მარჯვად,
 ძველ ლიფტების შეკეთებით
 ზეინკლებიც დაიტანგენს!
 მთელ ქალაქში ლიფტზე დავა
 ერთმანეთს რომ არ ვაბრალოთ,
 შევძლოთ ახლის შემოტანა,
 ძველი ჭარბად ჩავაბაროთ!

საბჭოებს

გინდ გვირახით გაიარეთ,
 საღგურიდან ბაზარამდი,
 გინდ სტალინის ქუჩა ნახეთ,
 გინდ ნაგუთში აბრძანდით! —
 გზების შეკეთებას ნატრობს
 თითქმის ყველა მალარო,
 შუქრუთშიაც ვერ მოხვდებით,
 მთელი დღე რომ აღამოთ!
 როცა აქვე ნავარძეთშიც
 ვერ გადახვალთ ურშებით,
 ხრეთს, რგანს თუ პერევისას
 როგორ დავემდურებით?
 მოდა, რა ვქნათ, საყვედური
 საგზაოზეც არა ვთქვათ?
 გზები არსად არ გვივარგა —
 არც სოფლად, არც ქალაქად!

საკომტრანსპორტალებს

გეგმებს გეგმებზე ახრულებთ,
 თუმცა წლებს ადრეც უხსწრებდით!
 იქნებ აწ უფრო აგვავსოთ
 ტაქსებით, იკარუებითი..
 თქვენ ხომ წინსვლა და აღმასვლა
 დიდთოვლობასაც გვაჩვენეთ,
 არსად არ იყო საწვავი! —
 მიმოსვლა არ შეაჩერეთ!
 ტალახში არ დაგბრჩობოდეთ
 ებ კუნთმაგარი ბიჭების!
 მე რომ შემემლოს, ყველა მძღოლს
 გმირობას მივანიჭებდი!

თბრმეშურნეობის მუშაობებს

წამთარს არ ელოდებოდით,
 მიხაკო ხარ თუ გერონტი?
 დროულად ვერ ჩაატარეთ
 საქვაბეებში რემონტი?
 ლაბადაც ვედარ ვაფთობდა,
 ქედებს ვაფრთხობდით ხველებით,

გაჩხიკინებულ ფეხებით
 აკანკალბულ ხელებით!
 წელსაც რომ ის დღე გვეწივს
 არ შეგვიძლია დათმობა!
 სამსახურშიც და სახლებშიც
 დროზე ჩავვირთეთ ვაფთობა!

პურკომბინატს

თქვენ გესმით ტექნოლოგია,
 ადვილად ვერვინ გასწავლით!
 სულ დაბრკოლებით მუშაობთ,
 ხან დენი არ გაქვთ, ხან წყალი..
 ესოდენ შრომა, ოფლის ღვრა
 არასდროს არ დაგეზაროთ!
 დე, ცივი პურის მაგივრად,
 ცხელ-ცხელი გამოგეგზავნოთ!

წყალსადენს

წყალსადენის მორიგესთან
 რომ დავრეკე გუშინ მეცხრედ,
 მიპასუხა: „წყლის მოსვლამდე
 ღვინო სვით და ღვინით რეცხეთ!“

მალაროთა დირექტორებს

მშალა ხართ დირექტორები,
 რომ შრომის ოფლი დაღვაროთ,
 თქვენს შემართებას ბანს აძლევს
 ძველი მთები და მალარო!
 ჭერ გეგმებს რომ ვერ ახრულებთ, —
 დღეს ამას არც თქვენ არ ფიცავთ!
 აწ მაინც აღარ გენახოთ
 მალაროელთა გაფიცვა!

**მედსანაწილსა და ძალაქის
პოლიკლინიკას**

მოდით, ერთად შევეკითხოთ
 მალაროელს — მთების არწივს:
 მომავალში რა სიკეთეს
 უსურვებდა მედსანაწილს?
 ქალაქის პოლიკლინიკა
 ოცნებად აქვს, ვიცი, ყველას!
 ნეტავ, როდის ააგებენ
 ჯანმრთელობის ნათელ კერას?!

— : — : —

დათვი მეფედ!

იზამბარაკი

უსსრმპარი დროიდან ტუის მბრძანებლად ლომი იყო. ცხოველთა შორის მანის ორ ბანაკად იყო დაყოფილი: ცალკე — მტაპ ცეხლებად და ცალკე — ბალახის მჭამელებად.

როცა ნადირი ხელმწიფე აღესრულა, მის ადგილზე დათვი დასვეს მეფედ, დათვათ თავი ლომზე ძლიერად და გამჭირვალად მიიჩნია. მან ტყეში არსებულ წიწყობილების ძირფესვიანად შეცვლა განიწარება, თუმცა რიგთანად ვერც წარმოედგინა, როგორ განებოდა ცივებინა ჩანადიერი, ბოლოს ძილს მისცა თავი. ძილში ახალგაზო-მცხვარმა ხელმწიფემ სიწმარე ნახა. უცებ გამოიღვიძა, შეერია ყველა ნადირი და მათ მიმართა:

— ჩემო ძვირფასო თანამოძმენო, ძალიან მოხარული ვარ, რომ ამ დღეს მოვესწარით. ამიერიდან მტაცებლები და ბალახის მჭამელები სრულ ერთიანობაში, შეგობრულად ვიცხოვრებთ! ეს ჭერ ისტორიას არ ახსოვს! გალოცავთ ამ დღესასწაულს, ჩვენს ძმობას გაუმარჯოს!

ცხოველები:

— ...

მეფემ ჩაახველა.

— ჩემი სიტყვები, ალბათ, სასაცილოდ გეჩვენათ, გუნებაში, ალბათ. ფიქრობთ, რომ ჩვენი ერთად ცხოვრება არ მოხერხდება!.. არა, ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ! მთელი ტყეში მშვიდობა უნდა დამყარდეს, ერთ ოჯახად უნდა დავრჩეთ!

ბალახის მძოველთა შეთავეთა თქვა:

— როგორ თუ ერთად ვიცხოვროთ. განა მტაცებლებს შეუძლიათ ბალახის მძოველებთან მეგობრობა? აქ რაღაც სხვა ამბავია!..

— მარტალია! — ბალახის მძოველები აღელდნენ.

— არა, არა, მეგობრობო, თქვენს მიმართ მხოლოდ კეთილი წრახვები მამოძრავებს. დღეიდან მტაცებლებს ხორცის ჭამას ვუკრძალავ!

— მტაცებლებმა გაკვირების ნიშნად ერთმანეთს გადახედეს:

— როგორ თუ ხორცის ჭამას გავკრძალავ?! —

— დიახაც. — სმას აუწია დათვა. — არსებული ცხოვრების წესი უნდა ძირფესვიანად შეიცვალოს, ახალი ცხოვრება უნდა დავიწყოთ, დროა ცივილიზაციას ვეწიაროთ! რით ვართ ადამიანებზე ნაკლებნი?! — მეფემ გვერდში მყოფ დათვს ეჭვის თვალით შეხედა:

— მე რა შენადვლება, — თქვა გვერდში მდგომმა. — მე უხორცოლდაც იოლად გავალ, ტყეში ბევრია ხილი, მარწყვი, მავალი, თაფლიც იშოვება, მშენი არ მოვკვდები, მე დიდი ხანია ცივილიზაციას ვეწიარე!

ბალახის მძოველმა ცხოველებმა დათვს ტაში დაუკრეს, ეამათ ხელმწიფის სიტყვები და ერთხმად შესძახეს:

— თუ ჩვენს დიდებულ მეფეს სურს, დაე, მახე იუოს! დღეიდან ჩვენ ხორცს აღარ შევკვამთ!

— კეთილი! — მეფემ კმაყოფილი სახე მიიღო.

ბალახის მძოველმა ცხოველებმა ერთხმად დასძახეს:

— დიდება დათვ-ხელმწიფეს!

შემდეგ მეფე მგლებს, ტურებსა და მელიებს მოუბრუნდა. ისინი კულების ქიციანით შეპყურებდნენ მბრძანებელს.

— დათვების კულტურა და სიბრძნე ყველაზე მაღალ დონეზეა! — შეპბედეს მათ.

— მინდა ვიცოდე, თქვენ რითი ხართ მათზე ნაკლებნი?! — შეერკობა მეფე.

ბალახის მძოველი ცხოველები:

— მათ გამბედაობა და ნებისყოფა არ ჰყოფნით!

— სირცხვილო მაგათ!

— კარგი, კმარა, ნუ გვლანძღავთ! — დასძინეს მგლებმა, ტურებმა და მელიებმა წყმუტუნით. — დათვებმა თუ მიგვიღეს, ჩვენც მათთან ერთად ხილს, მარწყვს, მავალს და თაფლს შევექცევით!

მეფემ მგლები, ტურები და მელიები დათვების კმაყოფაზე გადაიყვანა და მათი მოვლა-პატრონობაც დაავალა.

ახალი წყობა ბალახის მძოველი ცხოველების სახარგებლოდ და მყარად, ცხოველთა საკრებულო დაიშალა. შინ დაბრუნებული მძოველები დედოფალი შეეკითხა:

— დილო ხელმწიფე, შენმა პოლიტიკამ ძალიან გამაკვირვა, ნუთუ ეს კანონები შენც გეხება. ნუთუ შენც უხორცოდ შეძლებ არსებობას?!

— უნდა მოვითმინოთ, ჩემო დედოფალო, უნდა მოვითმინოთ! — მეფე ღრმად ჩაიფიქრა და დაუმატა: — ჯანდაბას ჩემი თავი, მარტო ჩემს თავზე არ ვფიქრობ. მე მთელი საზოგადოების ხედი მაწუხებს! გამთენიისას დათვები მცირე მტაცებლებთან ერთად ხეილს, მარწყვს, მავალს ბუჩქებს და თაფლის სკებს დაეცნენ. მაგრამ მგელი, ტურა და მელა ხეზე როგორ ავიდოდნენ? ვერც ეკლიან ბუჩქებს მიეკარნენ. ბევრი იბტუნავს, მაგრამ ამაოდ! დათვებსაც მტერი რა ჩარა ჰქონდათ, უნდა ეჭრუნათ მათზე. ონავარ ცხოველებს ხან მარწყვსა თუ მავალზე, ხან კი თაფლზე ეპატიებოდნენ.

დათვებს სულ უფრო და უფრო უძინელებოდათ ასე ცხოვრება. ბევრს შრომობდნენ, თანაც მშვიტები დადიოდნენ. ბოლოს მოხერხდათ ყოველივე და მეფეს მიაშურეს, მისი სასახლის წინ რას არ გაიძახოდნენ:

— ძირს მგლები, ტურები და მელიები!

— ჩვენ მშვიტები ვრჩებით!

— როდემდე უნდა ვაჭამოთ მუქთახორებს?!

მეფე უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა: — ეხე იგი, ახალმა წყობამ არ გაამართლა ახლა რა ქნას, სად ნახოს გამოსავალი? თავისი გამაფურთხებელი ალოკოს?! მერედა, არ უსაყვედურებენ?! თუ არ იყავი დარწმუნებული, რატომ მოგკიდეო ხელი, რას ერჩიოდი ძველ წყობას, ყოფილიყო, როგორც იყო!

მეფეს გეგმები ჩაეფუშა, სულიერად დაეცა: „ვაამე, რა ძნელი ყოფილაო მეფობა!“ — თქვა გამწარებულიმა.

ორიოდე დღის შემდეგ დათვებმა მცირე მტაცებლები მოწამლულ თაფლზე მიისატიეს და დალუპეს. ზუმანურმა ხელმწიფემ ეს საქმე არ გაამხილა, ანდა როგორ გაამხილდა, როცა დანაშაული მისი მოწყობილი იყო!

ერთხელ დედოფალი მოულოდნელად შეეკითხა მეფეს: — ჩემო მბრძანებელო, აცივდა, საქმელი არ იშოვება, ეს წყობა როდემდე უნდა გაგრძელდეს?

— ემ, რა ვიცი, ჩემო დედოფალო, წინ ჭერ დიდი წამთარი გვიძვს, ძილში უნდა გავატაროთ, დავიძინოთ, ვნახოთ, რა დაგვენიშნება! — თქვა მეფემ და საბანი გადაიხურა.

მეფე ერთ მშვენიერ დღეს ლოგინიდან წამოხტა, ისე დაიღრიალა, რომ ყველა დათვს გაეღვიძა.

— სასწრაფოდ ხორცი მომართვით!

დათვები გაკვირებისაგან სახტად დარჩნენ:

— რას ბრძანებთ, დილო მეფეო, ეს ხომ ჩვენი წყობისათვის მიუღებელია?!


განრისხდა მეფე: — წყალსაც წაულია ეს თქვენი წყობაცა და თქვენცა! ჩიხვი მომიტანეთ, ჩიხვი ვნახე სიწმარში!

დათვებს გაუხარდათ, დაერივნენ ბალახის მძოველებს. ყველა იტაცებდა იმას, რაც სიწმარში იხილა. კარგად არის ნათქვამი: „მშენიერ ქათამს ხორხალი დაესწმარებაო“. ჰოდა, ასე იყო ამათი საქმეც, როგორ უნდა ნდობოდნენ მას, სად გაგონილა დათვი და მისი ხელმწიფობა?!

ერთხელ, სადილის შემდეგ, დედოფალმა მეფე შეაქო: — ყოჩად, მეფე, კარგად მოგფიქრებია ეს წყობა, მტაცებლები შევამცირეთ თუ არა, ბალახის მძოველი ცხოველები გამწავლდნენ. ახლა ყოველდღე ხორცი გვექნება.

— აბა, რა გეგონა! — თავი მოიწონა მეფემ, — ჭერ წინ მრავალი წამთარი გვაქვს, სიწმარებსაც ბევრს ვნახავთ და მომავალშიც უფრო კარგად ვიცხოვრებთ!

მაგრამ მომდევნო წამთარში დათვებს ბოლო მოეღოთ. ბალახის მძოველი ცხოველები ძილის დროს დათვებს დაერივნენ და სულ ერთიანად მუსრი გაავლეს. ასეც იყო საქირო. ცოცხალი რომ დარჩენილიყვნენ, ღმერთმა იცის, კიდევ რა დაენიშნებოდათ?!



ომლებზეც ვამოსახულნი იყვნენ მსახიობები — აკაკი ხორავა და ვერიკო ანჯაფარიძე, ქართველი კინოვარსკვლავი ნატო ვაჩნაძე, მწერლები — შალვა დადიანი და ტიციან ტაბიძე, კინორეჟისორი მიხეილ ქიაურელი, მოცეკვავე ლილი გვარამაძე და მრავალი სხვა.

დამთვლიერებლები ალტაცებას ვერ ფარავდნენ, ისმობდა სიცილხარხარი და აღფრთოვანების მაუწყებელი შეძახილები!.. ამალღებულო განწყობილება დიდხანს არ განელებულა. რაც დრო გადიოდა, გამოფენაზე მოსულ ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებული ქაბუჯის თაყვანისმცემელთა რიცხვი თანდათან მატულობდა. ამიტომაც გამოფენა თვეობით გაგრძელდა.

მაგრამ დებიუტანტი მხატვრის წარმატებით გამოწვეული სიხარული უხეშმა ძალმომრეობამ შეწყვიტა — იმავე წლის შემოდგომაზე ირაკლი გორდელაძეს ჯერ მამა დაუბატიმრეს, მერე — დედა!.. ბედის ანაბარად დატოვებული ქაბუჯი ნათესავეებმა შეიკედლეს!.. რაც შეეხება მის მეგობრულ შარყებს, ისინი თითო-თითოდ გაჰქონდათ დარბაზიდან და ეზოში წვავდნენ!.. საბედნიეროდ, ამ ნახატებსაც აღმოუჩნდათ მზრუნველი, იგი გახლდათ ახალგაზრდა მწერალი პაპუნა წერიეთელი, რომელმაც ფურცელ-



ფურცელ გადაარჩინა ისინი და კარგა ხნის შემდეგ (შიშის გამო, ავტორის მალულად) თეატრის, მუსიკისა და კინოს მუზეუმს გადასცა შესანახავად!..

მას შემდეგ კარგმა დრომ განვლო. ამ ხნის მანძილზე ბატონმა ირაკლიმ მხატვრობის საიდუმლოება შეასწავლა მრავალზე მრავალ გრაფიკოსს.

დღესდღეობით ირაკლი გორდელაძე კვლავაც ჩვეულ ფორმაშია და იმედს გამოვთქვამთ, რომ იგი ახლო მომავალში მრავალი ორიგინალური მხატვრული ქმნილებით გაგვახარებს.

დავით ბუჭუკაშვილი,
საქართველოს დამსახურებული
ჟურნალისტი.

შურნალ „ნიანგის“ რედაქცია, თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად, სულითა და გულით ულოცავს ძველ ნიანგელს, ბატონ ირაკლის, და ახალ-ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს უხურვებს მას!

შესანიშნავ ქართველ ხელოვანს, რესპუბლიკის დამსახურებულ მხატვარს, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორის მოვალეობის შემსრულებელს — **ირაკლი გორდელაძეს** — დაბადების 70 წლისთავი შეუსრულდა. მიუხედავად ასაკისა, იგი კვლავაც ახალგაზრდული ენერჯით იღვწის ნიჭიერ მხატვართა თაობების აღსაზრდელად. ამასთანავე, საკუთარი წვლილიც შეაქვს თანამედროვე სახვითი ხელოვნების აღორძინებაში. მის მიერ დიდი ოსტატობით შესრულებული შთამბეჭდავი პლაკატებით, ილუსტრაციებით, კარიკატურებითა და სახელგანთქმულ მამულიშვილთა მეგობრული შარყებით მრავალი ქვეყნის შემოქმედი იამაყებდა!

... 1937 წლის მცხუნვარე თბილისური ზაფხულის ერთ დღეს ხელოვნების მუშაკთა სახლის საგამოფენო დარბაზში თავი მოიყარეს ქართული კულტურის სხვადასხვა დარგის მოღვაწეებმა. ისინი აქ მოვიდნენ იმისათვის, რომ გზა დაელოცათ უდავოდ ნიჭიერი ახალბედა შემოქმედისათვის, მეორე საცდელი შრომის სკოლის მოსწავლე ირაკლი გორდელაძისათვის, რომელმაც ჯანსაღი იუმორით აღსავსე ექვს ათეულამდე მეგობრული შარყი წარმოადგინა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდნენ ის მეგობრული შარყები,



მეგობრული შარყი. დიპლომირებული მხატვარი გორდელაძე.



1. ბათუბი

სინონიმი

თვით ჭოჭონეთშიც, ალბათ, არ არის იმდენი ცეცხლი, ჭუჭუი და ვნება, მაგრამ ნიღაბი ისე გიფარავს, მიწასაც აკრთობს შენი მშვენება!

რამ მომაგონა, ნეტავ, სიწმარნი? მწარე წარსული ახახა თვალმა, — როგორ დამტოვა ხადაც ქუჩაში უმწერო ლეკვი ლამაზმა ქალმა!..

და არ მასვენებს ფიქრები განსჯის, ჩვენს შორის უფრო ვინა დგას შალდა, თუმცა ბუნებამ ფრთებით შეგმოსა და მე მაქცია მურია ძალღადა!

ო, რომ შემეძლოს, მაშაღის მსგავსად, ჩადრში გავხვევდი მაგ სიძვის სხეულს, როგორც ქალათი, თმებით გათრევიდი მოღალატეს და რწმენით დამთხვეულს!

კიდევაც ვეშუი შენს ნამდვილ სახელს, არც მომხეზრდება შენდამი ღრენა! რამდენ სიმართლეს გაიგონებდნენ, ხალხს რომ ესმოდეს ძაღლების ენა!

ნოსტალგია

... მავთულები... ბოძები, შემოდგომის ავდარი, წეცა — ჩამოჭეფურული, არა ცხრება ეგ ქარი!

ფრთხილებენ მერცხლები მავთულების მწკრივებზე, წერილს წერენ სევდისგან ვილინოს სიმებზე!

ნოტებს — რეკვიემისას, განშორების სინანულს, ვინ ჩაწვდება, ნეტავი, ამ პატარა მერცხლის გულს?!

მავთულების მწკრივებში, ქარო, რატომ ესკვენები? როგორ ბზინავს, ხომ ხედავ, ეგ შავ-თეთრი ფრესკები?!

ნოტებს წერენ სევდისგან ვილინოს სიმებზე!.. ფრთხილებენ მერცხლები მავთულების მწკრივებზე!..

წალკოტს თუ დაეძებენ, — მაშ, რად არ იჩქარინა?!

ო, ეგ სუსტი მერცხლები რა ერთგულნი არიან!..

გულშავიწუხი მსახიობები

ხოტბას შევასხამთ ამ დიდ სამყაროს, მზეს, — ცხოველმყოფელს, ერთობას, ძმობას, ლამაზი ქალის თვალებს ვუმღერებთ, დავწყევლით ბოროტს, შურსა და მტრობას!

დავწყევლით, მაგრამ რამდენი გვისმენს, თვითონ რომ არის სულით იუდა! გვიღმის კიდევ, თაფლად იღვრება, მერმე ხელს მოგვხვევს, ჩაგვკოცნოს უნდა!

კაცმა, რომელმაც სულ გავითვლა, რაც გვაბადია მართალს და ალაღს, — რა დაგვაღიწყებს, მაგრამ წესია, მტერსაც აძლევდეს ვაჟკაცი საღამს!

საკუთარ თავს რომ გავეჭვით ხადაც, აი, რად ვლოცავთ ერთმანეთს ღვინით, მაგიდას სცენად ვაქცევთ თეატრის და გავიწყდება როლები დილით!..

ღმერთი რომ გუთანს ჩასჭიდებოდა

ზოგან წვიმაა გადაუღები, ზოგან კი მარად მზე იღიშება, ზოგან ბურუსი მეფობს მარადი და მდუმარებით აღარ იღლებს!

საოცრებია სამყაროს სული — უთანასწორო წახნაგი ლალის! რახან ასეა უსამართლობა მისი წესია და სამართალიც!..

ყოველ ყვავილს რომ ვარსკვლავად თვლიდა, ფერთა ლივლივით არ ასხვავებდა, მათ ერთნაირით მოსავდა ზანგით და მაცოცხლებელ სხივებს აფრქვევდა.

კონებად კრავდა მარგალიტების, აციმციმებდა სამშობლოს კალთებს! ზოდა, ის ღმერთი მელოდების თავს ძლივს უნთებდა პატარა ხანთელს!

ჩასჭიდებოდა რაინდი გუთანს — ის ბუმბერაზი, ვით მხენელ-მთესველი! მაღალი მთები იწყებდა დრეკას, გულს რომ უხსნიდა იმ მთებს ფშაველი!

კაცი მღეროდა: ისმოდა ღვთის ხმა — ერის სულისთქმად იქარგებოდა, სარჩოს იმკიდა თავისი ოფლით, ღმერთი რომ გუთანს ჩასჭიდებოდა!

ეს ბუმბერაზი იხე ცხოვრობდა, თავი გაშქონდა ლატაკის მსგავსად! ლუკმაპური რომ ეშოვა შაშვალს, გროშებს უხდიდნენ ბაქალღოს ფანადა!..

როცა შევცქერი ამ ლოდს პატარას, კავკასიონის ვხედავ მწვერვალად, ოქროს ზოდებად მზისებრ ელვარედ და სინანულის ჩაუშქრალ ალადა!

რადგან სიცოცხლემ რაც არ მიაგო, სიკვდილის შემდეგ გააღებდა!.. ცოცხალს კი, მომკელს მარგალიტების, ხანთელის მეტი არა ებადა!..

იხეე მოილტვის ფშავიდან ქარი, წერს უვლის საფლავს, შფოთავს და გოდებს.


უხახო არის, უჩინმარინი, არხევს და არწევს წიფლის ხის ტოტებს, —

რომ გარდაქმნილან დეკად და ღვიად, სუროდ, ყაყაროდ, პაწია იადა! და ლოდის ნატებს — დარაჯს საფლავის — შემოსხვევიან მთის სიმფონიადა!

მისი სახელი? რა საქირა, რადგან კაშკაშებს უფრო და უფრო! ის იმ ქვეყანას დაბნათის თავზე, რომ არ სწყალობდა ცოცხალს ხაწუთრო!

ია და ქალი

მერმე რა ვუყვით, პატარა რომ ხართ, პატარა რომ ხართ, რა ვუყვით მერმე?! ნუ გეშინიათ, ხელს როდი გახლებთ, რად დამორცხვეთ? რამე იმღერეთ! ასე უსიტყვოდ, ფერთა ზანგებით, რად გაიჩინდეთ, მე შესმის თქვენს! ო, რომ იცოდეთ, ეგ ლურჯი კაბა, როგორ ლივლივებს და როგორ გშვენით! რომ ეს ასეა, თქვენც კარგად იცით და ნაკადულის გახსნარზე მწკრივდებით, ან ჩრდილს დაეძებთ ხეთა კალთებქვეშ და მთართლვარებით მაშინ ღვითრდებით! როცა მივინვარებს, ქარი კი არა, არამედ, როცა გიპოვით ქალი — უშაღვე დაწვევებს ვარსკვლავს პატარებს, თან ავებსება სიცოცხლით თვალს!



იუმორისკა

შინ ბარბაციით მივედი. ღვინით მთვრალი კარგ ხასიათზე ვიყავი. უფრო მეტად მომიარა ცოლის სიყვარულმა, მინდოდა ალტაცეხით წაშომეძახა: „შენ გენაცვალე! შენ ხარ ნამდვილი ქეთევანი-მეთქი“ და გულში ჩამეკრა, მაგრამ კარი რომ გავაღე, ცოლი ძუვეფხვივით იდგა საჩხუბრად გამზადებული და სიბრაზისაგან გაწითლებულ თვალებს ჩიბის ელექტრონათურასავით აბრიალებდა..

ფერფური შეცვალა, ჭერ პირისპირ ვიდექით და ერთმანეთს თხა და შეგლივით ვუყურებდით; შემდეგ კი, როგორც მოსალოდნელი იყო, აფტქდა ქეთევანი და სამი ნომერი საფანტივით აუცდენლად მომეყარა:

— შე ტყვიამოსხვედრებულო, როდემდე უნდა იყო ჩვენი სოფლის გზასავით გაობრებული? ჩვენი აბანოს კედლებივით დაგისკდა ეს მუცელი და ნაწლავები.. ხალხისა მაინც არა გრცხვენია, ხალხით გაჰედლიდი „წნორი-სიღნაღის“ ავტობუსივით თავდამძიმებული, გარდღივარდმო რომ დადინარ ყოველდღე გალდშილი? ექიმმა ტყუილად კი არ გითხრა: „სისხლის მაგიერ, სპირტის მიმოქცევის სისტემა გაქვს ორგანიზმში..“

ერთი შენს სიკვდილს მომხსწრო, რომ საფლავში ჩაგაგლო, ღიად დაგაგლო ჩვენი ეზოს წინ ჩაყრილი გაზის მილებივითა, მიწის მიყრა რომ არ გაღირსა!

შე ოხრად დახარჩენო, უდროოდ რომ იკლავ თავს, რით უნდა დაგმარხო? 4000 მანეთი მოწვერი ღირს, 700 — ცხვარი, 80 — დედალი, 170 — ინდაური, 800 — კუბო.. შენი ხელფასის პირიმი, ფულის დასტები რომ მოგაქვს შინ 120 მანეთი თუთუნის ფულად არა გყოფნის, თან იძინა, უშადლენი წითელ დიპლომზე დავამთავრო!

შე დებილო, მაგდენ სწავლას სანოქრო კურსები დაგმთავრებინა და მილიონერს ყოფილიყავი, არ გერჩინა? ახლა მაგათი დღე მოვიდა, სახელმწიფო მალაზიები საკუთარი დუქნებივითა აქვთ! ნ კაბიკი მთავრობამ რომ მოუმატოს საქონელს, 10 მანეთს თვითონ უმატებენ, შენ კი დგახარ და სიდედრის მჭვალი ვადგას! მისი გასაშაყირებელი ანექლოტების მეტი ვერაფერი ისწავლე? ერთი მიშკამ პროდუქტი ისე დააქვიროს, რომ შიმშილით კუჭი გამოგინმებს..

შენ დალოთაობ, შენს ცოდ-შვილს კი ლუკმაპური ენატრება!

ახლა კიდევ კანტოებს რომ ბაძავ და ვაჟკაცობ, — ღვინოს ქაღლის ტუფულითა ვსვამო, — შე დასაცხედრებულო, 48 ნომერი წითელი „საოჩები“ სულ გამიღვინიანე, ერთი ვედრო ღვინო ჩადის, აავსებ და წრუპავ და წრუპავ თავივითა, ჩვენი სოფლის სახურსათო მალაზიასავით იმიტომ გაქვს თავი გამოცარიელებული..

აღარ შემეძლო.. მისი ყვირილი უცხოურ ჯაზივით მიბურღავდა ტვინსა და მიშლიდა ნერვებს.. ყურებში თითები დავიცავი და, — ილიაპარაკე-მეთქი! — მივძახე.

— ეს სასიკვდილი თან მასხარადაც მიგდებს! — მომიახლოვდა და ერთი ისეთი გემოიანად ჩამითაქა თავში, რომ თვალები იმპერიის დესანტივით ვადმოვსხი. შემდეგ კარატეს სიდედრისეული ილეთი ჩამიტარა, ნახევარი პურივით ილიაში ამომიჩარა და ტანსაცმლიანად საწოლში გამტყორცნა..

მეორე დღით ქეთევანი ადრე ამდგარყო. ჩემი ბიბლიოთეკიდან ალკოჰოლის საწინააღმდეგო მასალები აერჩია და ადგომისთანავე სამსაათიანი ლექცია წამიკითხა:

— რატომ ხვამ ამდენს?

— რა ვქნა, შენი პირიმი. გუშინ, სამხსაურიდან რომ გამოვედი, ჩემი ძმაცკი ვიკა შემხვდა. მის მეუღლეს ბიჭი შეხსენია და შინ წამიყვანა, მალარიჩი დავლიეთ. ბევრის დაღვევა არ მინდოდა, მაგრამ იმისთანა სადღეგრძელოებს ამბობდა, არ შეიძლებოდა, ის პიქები არ დამეცალა!

— თუ არ გინდა, შე გულმკვდარო, ძალით როგორ უნდა დავაშლევინო?

მზიანი კვირა დღე გათენდა. ჩემი ცოლი მომიახლოვდა და მი-თხრა:

— დღეს ნინოს დაბადების დღეა და ჩვენი უბნის ქალებმა მოვილაპარაკეთ, ვიქეფოთ. მეც მინდა საჩუქარი ვუყიდეო და წავიდე!

— მიბრძანდი, გენაცვალე! ჩემს მაგივრადაც მიულოცე! — წამოვიძახე განარებულმა.

ცოლი საჩუქრის საყიდლად გავაგზავნე, ჩემს მეზობელ დაღმესთან გავიქეცი და უელის გამოწვევით შევეხვეწე:

— შენი პირიმი, დალი, ოლონდაც ამაღამ ქეთევანი დათვროდა, რაც გინდათ, დამავალეთ!

... ის გვიან ღამით მოჩუვანეს სახლში ქალებმა.. სანამ ლოგინს გავასწორებდი, სკამზე ჩამოვსვი, რომ არ წაქცეულიყო. შემდეგ კი მივიტანე და თავის ტანსაცმელ-ფეხსაცმლიანად ჩავაწვინე, მე კი ჩემს საწოლში მივწექი და კურდღელივით თვალგაშუტილი დავცქეროდი ცოლს. ერთი სამჯერ მაინც წამომიხტა, — ალავერდი შენთანა ვარ, დამოუკიდებელი საქართველოს სადღეგრძელო უნდა დავლიოთ! — შეძახდა.

ბოლოს თვალი გაახილა, — სადა ვარო? — იკითხა. ეტყობოდა, გონს მოსულიყო.

— აქა ხარ, გენაცვალე, შენს სახლში! — ვუპასუხე.

— ეს რა ამბავია ჩემს თავს? ჩაცმული რატომ ვწევარ საწოლში, ან ეს რა მომხვლია?

— როგორ არა გრცხვენია, ისე უგარძობლად უნდა დათვრე ახალგაზრდა ქალი, რომ შენი თავისა ვერაფერი გაიგო? — დავუწუე ახლა მე.

— რა ვქნა, იმ მიწადასაყრებში თამადად დამაყენეს და მე რომ ღვინო არ დამელია, სხვა ვერ დამეცა!

ცოლის სიტყვებზე გამტყინა, ის კი გაწითლდა.

მოკლედ, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ორივენი დამნაშავენი ვიყავით! პირობა დავდეთ, ღვინოს ახლოს აღარ გავეკარებოდით! მას შემდეგ აღარ გამოგონია ჩემი ცოლის „ზახრუშალი“ და ჩვენი ოჯახიც დაწყნარდა.

ვანო კავლიშვილი (სიღნაღის რაიონი, სოფელი საქობო)

პარტიებისა და გაზეთების თოვნი..

ვინ არ იცის, რომ უმზოდ მიწით თესლი არ ამოვა, არც უღრუბლო ციდან წვიმა, თოვლი, სეტყვა არ ჩამოვა.. თვით არსშია ეს ბუნების, ვერვინ შეცვლის კანონს მისას, თვითონა ჰყავს გამგებელი სუნთქვას მიწის, სუნთქვას ცისას! ისიც ვიცი, რომ დიდ წვიმებს ახლავს დიდი წყალდიდობა, ნათესების წალეკვა და ჭებირების ნგრევა-მოშლა.. სეტყვა თელავს მინდორ-ველებს, სახლებს ანგრევს დიდთოვლობა, უძლეველი არის მხოლოდ თვით დრო-ყამის წინსვლა-სრბოლა! მის ზღვარს გადაცილებული, მომტანია მხოლოდ ვნების, პოლიტიკა ბობოქრობს და არის თოვა პარტიების.. როცა ტახტის დასაპყრობად მართონი სუფევს მათი, აღარავის არ ადადრდებს, თუ ვის მოსავს სიბრძნის კვართი! არის დიდი შეხლა-მოხლა, ზოგს ჰგონია ღორჯო თართი, და ქვეყანას ხუნდად ადევს მათი ბრძოლა, ფურთიფართი.. მეტად ითხოვს შველას საქმე, უფრო ზეობს ვნების გროვა, როცა ამას ემატება გაზეთების დიდი თოვა.. არის აზრთა ჭახაჭუხი, კვლავ იმასთან ვერვინ მოვი, ვინაც ქვეყნის დიდი ცური მხოლოდ თვისთვის ქაჩა-წოვა.. ალაგია ჩიხურებში შტაბებულად გაზეთთ წყება, რომ ვუყურებ მე ამ სურათს, მაფიქრებს და გული მწყდება! ნულარ მიწყენთ, მეგობრებო, ეს ხომ თქვენი ნიღაფია, — ბევრმა აზრმა, ფიქრმა თქვენმა ხალხში ვეღარ გააღწია! თუ არაღა, დანის უხმარს ეანგი ჰამს და უღებს ბოლოს, შნო, ლაზათი ეკარგება თვით ცხოვრებას უგემოვნოს! საქმეს ვეღარ შველის, ვერა, გნისი და ლაპარაკი, კვლავ სუსტია ჩანი ქვეყნის, აღარ გვახსოვს შრომა რაკი! არსებობის ყველა წყაროს კვლავ იგარძობა დეფიციტი, გარჯას თუ არ მოვუმატეთ, დანარჩენი არის ფიქტი.. ეს ცხოვრების წესია და თუ დაეარღვევთ კანონს მისას, მთელი ეშხით ვერ შეეგარძნობთ სიღიადეს მნათობისას! კვლავ ძალაში რჩება, ვხედავ, პარტიების დიდი თოვა.



— რამ გადაგრია, შე ქალო? მაგ ფასად ერთ კანის-ტრა ბენზინს ვიყიდი!..

ნახ. დ. ჯარაფიშვილისა

ჯიხურებში კვლავ მატულობს გაზეთების წყება-გროვა!.. ზოგი ისე ძვირად ფასობს, გეგონება ბაზარიო, და საზრდოსაც ჩვენი სულის უკიდია ხანძარიო! მარტო ამას ვილა ჩივის, არის დიდი ძიძგილობა, ხალხს გზას უბნევს პარტიების აზრთსიმრავლე და ცილობა, იდეათა შეგახება, ხან — ლანძღვაში გადაზრდილი!.. ველარ უძღვებს ამდენ თათხვას კაცი წესიერი, ზრდილი! ზოგ-ზოგს სულმთლად მიივიწყდა საქმე, გარჯა, სამსახური!.. ვთქვათ სიმართლე! — ამიტომაც სიღუბნის გვადევს ხუნდი! — ამას ამბობს კაცი წრფელი, ნაშრომ-ნაჯაფ-ნამსახური და არა ის, მცონარობით გაუწყალდა ვისაც კუნთი! ნუთუ, აღარ უნდა მივხვდეთ თვით სიცოცხლის არს-მოთხოვნას, რომ ცხოვრება ითხოვს საქმის და არ მარტო სიტყვის თოვას! თუ გარჯამ არ დაამშვენა, ფასი არ ჯექვს ფრაზის კონას, პარტიების, გაზეთების ცვენასა და უხვად თოვას!

შალვა გულუა

კველეგური სუმრობები

პლატონ იოსელიანი სტუმრად ეწვია გიორგი მუხრან-ბატონს. სადილზე ლაპარაკი ჩამოვარდა ერთ მდიდარ კაცზე, რომ მელსაც დღეში ასი თუმანი ჰქონია შემოსავალი. პლატონმა ინატრა, — ნეტავ მე მქონდეს ამდენი ფულიო!
— რად გინდა, ჩემო პლატონ, — უთხრა მასპინძელმა, — ჭამა შენ არ იცრ და სმა, რაში უნდა გამოიყენო ამდენი ფული?!
— როცა მაგოდენა ხიმლიდრე მექნება, შენისთანა დიდ კაცებს მოჯამაგირედ დავიყენებ, ისინი ხმასაც მასწავლიან და ჭამასაც! — უპასუხა პლატონმა.

გურულს გზაზე შემოაღამდა და ერთმა აზნაურმა შინ შეუპატიუა. აღმოჩნდა, რომ გურული უმა უოფილა იმ აზნაურისა. რო-მელზედაც დანიშნული იყო მასპინძლის ქალიშვილი. ვახშობის დროს შექეფიანებული მასპინძელი შეეკითხა სტუმარს:
— გურულო, როგორ მოგწონს ჩემი ქალი?
— რავა, ძამა, მატან თუ? — მიუგო ენამოსწრებულმა გურულმა.

მართმა ახალგაზრდა მასწავლებელმა მატარებელში სოფ-ლელო დედაკაცი გაიცნო.
— უმაწვილო, რა ხელობისა ბრძანდებით? — ჰკითხა დედაკაცმა.
— მე, დედი, ჯკუას ვარიგებ! — იხუნჯა მასწავლებელმა.
— იმიტომაა, შვილო, შენ თვითონ ეგრე ცოტა რომ დაგრჩე-ნია! — უთხრა დედაკაცმა.

მეტად ზრდილობიანი, კულტურული, ინტელიგენტი მა-შაკაცი ვილაც ქალს სწერდა წერილს, რომელიც ასე დააბოლოვა: „დღეს ისე ცხელა, რომ თქვენის ნებართვით ფრაკავხდილი და უელ-სახვევმოხსნილი გწერთ ამ ბარათს!“

შეკრიბა შუშუნა ნიკოლაიშვილმა



საქართველო ინტერვიუ

— არავითარ შემთხვევაში, არავითარ შეუძლებელ სადა მაქვს მაგის დრო, ინტერვიუ მოგცეთ! ორი წუთი არც არის, რაც ბაზარს და ვაჭარს, ჯერაც არ ამომიღებია ნავაჭრის რაო? თან ამოვალავო, თან გესაუბროთ? ასე როგორ გამოვა?! დაღლილი ვარ-მეთქი ამ დღეებში თუ უოფილხარტ ბაზარში? ცეცხლი უკიდია ყველაფერს.. ზუსტად სამი საათი დამჭირდა დახლებს შორის სირბილი, რომ ნორმალური რამე ამერჩია. აი, ეს არის: 1200 მანეთის ნავაჭრია და თითქმის არაფერი ჩანს! რატომ გაგიკვირდათ? ხომ გითხარით, ცეცხლი უკიდია ბაზარს 1200 მანეთი ბევრიოა? რას ბრძანებთ თუ არ იყიდო, რაც შენ გინდა, აბა, ბაზარში წახვალა რაღაწეა საქირო?!

— რომელ საქიროებზე ლაპარაკობთ?

— განა აუცილებელი არ იყო, ეს გოჭი მეყიდა? ხვალ სტუმრებს ველოდები, ამ ჭაღს რომ უყურებთ და ტყბებით, იმათ გამომატანინეს საწყობიდან! პატივი არ უნდა ვცე?

— რა უნდა დამქდომოდა? სულ ასი ათასი მანეთი! ჭალი მშენიერია, ვნახე თუ არა, მეუღლეს ვუთხარი, ეს ამ ოთახს დაამშვენებს, ძვირფასი ფინური შპალერი რომ

გვაქვს გაკრული-მეთქი. წუთიც არ დაგვიყოვნებია და შევიძინეთ. ხომ ეთანხმებით ჩემს გემოვნებას? გატუობთ, თქვენც მოგწონს!

— პო, ეს ქათამი? ორ ცალში 80 მანეთი გადავიხადე. ჩემს ბიჭს ძალიან უყვარს სოფლის ქათამი, თანაც დღეს შეგობარმა უნდა შემოიბრინოს, ბრწყინვალედ იხედება ყავაში. ნათელმზიდელია. იმასაც გამასპინდლება უნდა!

— ამდენი ხილი და ბოსტნეული? რა უცნაურ შეკითხვას მაძლევთ. ორგანიზმმა ხომ უნდა მიიღოს ვიტამინები?! გაზეთები და ჟურნალები სულ მაგაზე წერენ.

— რომელი მაღაზიის? რას ამბობთ! მაღაზიის ხილს როგორ ვაჭმევ ბავშვებს, გემო არა აქვს და არომატი აბა, ეს ატამი ნახეთ, ან ეს გულბანი.. ქარვასავითაა და რა სურნელებას გამოსცემს.. ეს უურძენი გურჯაანისა! მართალია, ძვირად ვიყიდე, სამაგიეროდ გემოს ჩაატანს ადამიანი! რაო? ახ ოც მანეთზე მეტა ნავაჭრი? ახლავე...

— ეს ხორცი საქონლისაა. ესეც ღორისა, ეს — თევზი, მწვანელი, სუნელები... შეიძლება მართალი ხართ, მაგრამ, აბა, ეს რა სათქმელია, როცა გემრძელად დავანაყრებ ქმარ-შვილსაც და მომსკლელებსაც!

— ფერფლი დაგეყარათ? და არის საბოდიშო?! მოვა გოგონა და ერთ წუთში დააკრიალებს ყველაფერს! არა, ჩემი გოგო კი არა... რომელი მოსამსახურე? უბრალოდ საოჯახო საქმეებში მუშაობდა, ძალიან ვაჭირვებული ოჯახიდანაა, მეც წყალობას არ ვაკლებ, თვეში 1500 მანეთით ვმუშაობ, განა ცოტაა?

— ჩემი ბავშვები? ქალიშვილი, 18 წლისაა. მასწავლებელთან ვამზადებ ქიმიასა და ინგლისურში, ახლა აქაა; საწყალი ვიყო მწვერ კოსმოსიდან ხომ არა ხართ? მომზადების ფასი ყველამ შეპირად ვიცით; ძვირია, მაგრამ დაიშვებულნი ვარ მომავალი გამოცდებისათვის. პო, ბიჭი? ჯერ რვა წლისაა, მაშამისი დაპირდა, დღეისათვის იაპონური მაგნიტოფონი და ბოტასები უნდა უყიდოს და იქ წაიყვანდა. რა მკითხეთ?

— აბა, თავის ფასში ვინ მისცემს! ჩემს მეუღლეს მრავალი ნაცნობი მყავს. შოვნა ყველაფრის შეგვიძლია..


— ისეც ბაზარზე მკითხებით? რას ამბობთ.. ყოველდღე სად შემიძლია, კვირაში ოთხჯერ ძლივს ვახერხებ წახვლას!

— რომელი მთავარი კითხვა? აა, ხელფასი რამდენი გვაქვს და გვეყოფის თუ არა? კი, მაგრამ თქვენ საიდან ბრძანდებით? გაზეთიდან? თავიდან გეთქვა, დალოცვილო! ამდენ დროს ხომ არ დავხარჯავდით ერთიც და მეორეც!..

— ჩემი და ჩემი მეუღლის საშუალო ზღვრისი, ერთად აღებულნი, 280 მანეთია. ცხოვრებას არ ვმდურით, ეს ზღვრისი ჩვენ გვეყოფის თვიდან თვემდე, ასე რომ, უშეყოფილებას არ გამოვთქვამთ!

ნანა იაშალაშვილი

ნან. შ. კუცინასი



სად დაგაქვსა ხელფასი — ბაზარში.. ყველაფერს ცაცხლი ეკიდება..

COMMERCIAL SHOP



— რომ შეგეძლოთ, ალბათ, საქართველოსაც გაყიდოთ!..
 — როგორ გეკადრებათ, ბატონო?! ჩვენ მხოლოდ იმპორტული საქონლით ვვაჭრობთ!

შარვალი თუ კაბა?!

მეგობრები — ირაკლი და გიორგი — რუსთაველის გამზირს გაუყვნენ სასეირნოდ.

— მოიცა, გიორგი, ერთი ამ გოგონას შეხედე!

— რა იყო, ირაკლი, რა მოხდა, ვერ იცანი? ეს ხომ ნათიაა, ჩვენი ლევანის და!..

— ცნობით როგორ ვერ ვიცანი, მაგრამ, კარგად დააკვირდი, რა აცვია, შარვალია თუ კაბა?!

მეგობრებმა გზა განაგრძეს.

— ირაკლის და გიორგის გაუმარჯოს! — მოესმათ გვერდოდან მეგობარი ნინოს ხმა.

— ო, ნინოს ვახლავართ, როგორ ხარ, ასე უნდა დაკარგვა?! — დიდი ხნის უნახავი მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— როგორც ყოველთვის, დღესაც რა ლამაზი ხარ, ნინო! — კომპლიმენტი შეაგება ირაკლიმ, — მაგრამ ეს რა გაცვია, ამისხენი ერთი, თუ და ხარ?!

— ვაი, თქვე გოიმებო! არ იცით, როგორი გასაუალი აქვს ამ „შარვალ-იუბკას“?! ახლა ძალიან ბევრი იცვამს მას! მებრალებით, როგორ ჩამორჩენილხართ დროს! რას ნიშნავს, რომ დიდი ხანია არ გვინახავს ერთმანეთი, თორემ მოდაშიც გავანათლებდით! მაპატიეთ, ახლა პაემანზე მეჩქარება — იმ ბიჭს, ვისაც მოგწონვარ, ძალიან „დაევას“

ეს „შარვალ-იუბკა“ და მიიხრა, — ჩემთან შეხვედრათ სხვა ტანსაცმლით არ მოხვიდეო! ჩაო, ბიჭებო!

ნინო ბიჭებს კარგა მანძილით რომ დაშორდა, ირაკლიმ ჩაილაპარაკა:

— ფუი, თავსლადი დავასხი ისეთ ვაკაცს, რომელიც თავის შეყვარებულს ასეთი „შარვალ-იუბკის“ ჩაცმის უფლებას მისცემს! შეიძლება მაგისთან შემთხვევით ჩვენთან მოხვდეს და ქართველი ქალის სადღეგრძელო დალიოს!

— არ დაგიჯერებენ, აქეთ მოგიშლიან ნერვებს! შეაყარე მერე, თუ გინდა, კედელს ცერცვი! — ხელი ჩაიქნია გიორგიმ.

— გიორგი, აბა, ერთი ამ გოგონას შეხედე! ნათიას და ნინოს კიდევ რა უშავს, ეს რასა ჰგავს?! ნუთუ, თვითონ ვერ ხვდება, რომ არ უხდება, ან პატრონი არ ჰყავს?!

— მოგცლია ერთი შენც! ამისთანა გოგო ვინმეს რამეს დაუჭერებს?!

— გიორგი, ისე, თუ აშაირ მოდაყოლილ გოგონებს მოკლე კაბის ჩაცმა უნდათ, ჩაიცვან, თანახმა ვარ!..

— არ იქნებოდა ურიგო, მინიკაბებს რომ ატარებდნენ გოგონები! ხომ გინახოდა, — თეთრი, ქათქათა სხეული მოჩანსო, — ამბობდი!

— მართლაც კარგი დრო იყო, გიორგი!


— მაქსიმე რომ გადავიდნენ, ცოტათი მოიწყინე, შეგატყვე, მაგრამ არ შეგიმჩნევია!

— ახლა რომ არც კაბაა და აღარც შარვალი?! ისე, შარვალი რა ქალის საქმეა?!

— ერთი წინადადება მაქვს ჩემთვის სააღდუმლოდ: რა იქნება, ბიჭებმა პატარა მაკრატლები ვატაროთ ჭიბით და, ასეთ „შარვალ-იუბკიან“ გოგონებს რომ დავინახავთ, მივეპაროთ, პატარაზე გავუჭრათ, საქვეყნოდ თავი მოვჭრათ და მერე, ალბათ, აღარ ჩაიცვამენ!

— რაციონალიზატორული წინადადება კი არის, მაგრამ ვინ მოგცემს ამის გაკეთების უფლებას?!

თეიზურაჲ მორგოზია



რიბოქსინი

იუმორისა

ორთეოზ ორგულაძე სამსახურში ცუდად გახდა და გონი დაკარგა.

— გულის უკმარისობა! — დასვა დიაგნოზი სასწრაფო დახმარების ექიმმა და სასწრაფო დახმარების მანქანით ორთეოზ ორგულაძე საავადმყოფოში წაიყვანეს.

ორთეოზმა თვალი საავადმყოფოს პალატაში გაახილა. თავზე გაქათვებულ თეთრ ხალათში გამოკვართული, წარბებაპრებილი ორმოციოდე წლის ექიმი ქალი ადგა (ექიმი გაუთხოვარი იყო), რომელსაც ავადმყოფისადმი პირველი დახმარება უკვე აღმოეჩინა და მის ანკეტას კითხულობდა. როდესაც ექიმმა ორთეოზის ანკეტის იმ კითხვაზე — „ცოლშვილიანი“ — „არა“ ამოიკითხა, თვალეში ჭინკები ჩაუჭდა, ხელოვნური წამწამები მრავალმნიშვნელოვნად ააფახულა, ხალათის ჯიბიდან ბატისტის თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო, ფრანგული სუნამო „შანელით“ რომ იყო გაუღენთილი, და ავადმყოფს დაცვარული შუბლი შეუშრალა, შემდეგ მოხდენილი ღიმილით ჩაუსირინოვა: — დამშვიდდით, არ ინერვიულოთ, რახან ჩემთან მოხვდით, ყველაფერი რიგზე იქნება! აი, რიბოქსინს თუ იშვავით.. სამწუხაროდ, ჩვენთან, საავადმყოფოში, არ არის.. რიბოქსინი მოგიხდებათ, კი, ნამდვილად მოგიხდებათ.. უჩემოდ არ მოიწყინოთ!.. მალე დავბრუნდები, მეზობელ პალატაში ავადმყოფს უნდა მივხედო! რიბოქსინი არ დავიწყეთ! ექიმმა ჭინკა თვალეებით კვლავ გაუცინა ორთეოზს და მოხდენილად გავიდა პალატიდან.

ორთეოზ ორგულაძეს ჭინკათვალეებიანი ექიმის რჩევა-დარიგება, რიბოქსინი მოგიხდებაო, გონებაში

ჩაეჭვდა. რიბოქსინს იშვავის, როგორ არ იშვავის! ოდონდ კარგად იყოს და, რიბოქსინს კი არა, თუ მოინდომა, უკვდავების წამალსაც იშვავის თბილისში, შაუმიანის, ან ლესელიძის ქუჩაზე..

ამ ფიქრებში იყო ორთეოზი, როდესაც პალატის კარი ფრთხილად შემოაღო საავადმყოფოს დამლაგებელმა ქალმა, რომელიც თავის სამსახურებრივ მოვალეობას მოხერხებულად უხამებდა სპეკულაციას. (ახლაც მას მამაკაცის იმპორტული ტუფლი ჰქონდა ამოჩრილი ხალათქვეშ გასაყიდად!).

დამლაგებელი ავადმყოფის საწოლს ფრთხილად მიუახლოვდა და ორთეოზს ჩასჩურჩულა: — ტუფლები მამიტანია, ზაგრანინია, აი, იმპორტისი ჰო, იმპორტისი აიღე, მოგიხდება!..

ორთეოზმა პირველად კარგად ვერ გაიგო, რა უნდოდა მისგან თეთრხალათიან მოხუც ქალს, მაგრამ ამ უკანასკნელმა რამდენიმეჯერ ხმამაღლა რომ გაიმეორა, აიღე, მოგიხდებაო, მას ჭინკათვალეებიანი ექიმის სიტყვები ჰქონდა გონებაში ჩაქედილი, რიბოქსინი მოგიხდებაო, და იფიქრა, ალბათ რიბოქსინით ვაჭრობსო. სიხარულისაგან კინაღამ შე-



ბტა, — ნატვრის ასრულებაც ამან ჰქვიაო!

— გმადლობთ, დეიდა, ეჭვმიტანი მირჩია, რომ მოგიხდებოდა! სად იშვავ ასე ჩქარა, რა ღირს?..

— ხი, ხი, ხი, — ჩაიქიჩილა დამლაგებელმა, — სად ვიშვავე და სტალიონის ბილეთებთან ერთად დამატებით არიგებდნენ. სად უნდა მეშვავა? ბაზაში, საწყობის გამგეს გამოვართვი, შენ ძვირს არ დავიხვამ, 180 მანეთია ამის ფასი, მე რაღაც მანეთები დამრჩება მოგებას!..

— რას ამბობ, რას?! რიბოქსინი 2 მანეთი და 50 კაპიკი ღირს!.. — გაცხარდა ორთეოზი და საწოლიდან წამოიწია.

შეშინებულმა დამლაგებელმა უკან დაიწია: „ეტყობა, სიცხემ აუწია საცოდავი!.. რა რიბაო, რას ბოდავს? მიქელ-გაბრიელს ძლივს გამოსტაცეს ხელიდან, ამან კი ახალი თევზი არ მომიხდომა?! ის კი არ იცის, რომ თბილისის მაღაზიებში რიბას — ახალ თევზს, ახალ წილსაც ვერ იშვავის კაცი. 2 მანეთად და 50 კაპიკად, ნურას უკაცრავად, ახალ თევზს არც ერთი სპეკულანტი არ მოგყიდის!..“

— კარგი, კარგი, შვილო, დაწყნარდი! დამიჯერე, აიღე, ხუთ მანეთს დაგიკლებს! 175 მანეთად ღმერთმა მოგახმაროს! ამ ხუთ მანეთს იმიტომაც გიკლებ, მესიმათიურების!

ორთეოზმა გულზე იტაცა ხელი. თეთრხალათიან სპეკულანტს აღარ უყურებდა და გაოგნებული სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა: — წურბელა, წურბელა, სპეკულანტი, რიბოქსინი!..



„აფსუს, ეტყობა წნევამაც აუწია! წურბელა მიშველისო, პირის გემო მაინც რომ არ ავიწყდება! რიბა, ახალი თევზი სპეკულანტს გამოართვიო, ამას ნეტავი პატრონი არა ჰყავს?! წავიდე, ექიმს დავუძახო, სიცხე რომ დაუწევს და აზრზე მოვა, ტუფლს მერეც მივყიდი, ცოტა ჭანჭალი კაცი კი ჩანს, მაგრამ, ეტყობა, მაინც მყიდველია!“

დამლაგებელი ექიმის დასაძახებლად გავიდა, ორთეოზი კი განუწყვეტლივ გაიძახოდა: რიბოქსინი, რიბოქსინი, რიბოქსინი!..

ზაალ მენენგინერი

საბრძოლო ხეობა


საბრძოლო
ხეობა




უფარაქი




უფარაქი



უფარაქი



— რას არიგებენ, თუ იცი, შვილო?!



ზესტაფონური ანექდოტები ბადრიას

ბადრიამ მილიციაში დაიწყო მუშაობა.
ერთხელ ორი კაცი ქუჩაში ჩხუბობდა.
— მიდი, კაცო, გააშველდი, რას მისჩერებინარ?! —
უთხრა გამვლელმა ბადრიას.
— ბავშვობიდანვე არ მიყვარდა სხვის საქმეებში
ჩარევა! — მიუგო ბადრიამ და იქაურობას გაეცალა.

— : — : —

ბადრიამ ქუჩაში მთვრალი კაცი დაინახა, რო-
მელიც ძლივს მოდიოდა.
— თქვენი სახუთები, მოქალაქევი! — უთხრა ბად-
რიამ.
— არა მაქვს სახუთები! — ძლივს წარმოთქვა
მთვრალმა.
— მაშინ მილიციაში წაგიყვანს! — დამუშტრა ბადრია.
— აგაშენა ღმერთმა! გამოუძახე მანქანას, ფეხით
სიარული მაინც აღარ შემიძლია! — წაიმღერა
მთვრალმა.

— : — : —

მილიციის უფროსმა ბადრიას უყვარა:
— რაშენი ხანია, მილიციაში მუშაობ და შენი და-
ჭერილი კაცი არ მინახავს!
— ქართველი კაცი როგორ დავიჭირო, უფრო-
სო?! — იმართლა თავი ბადრიამ.

— : — : —

ბადრიას ქუჩაში იარაღი მოპარეს. ამისა-
თვის ბადრია დაიჭირეს და გაახამართლეს.
— რას უყურებდი, შე კაცო, იარაღს რომ ვპარავ
დენე?! — უთხრა მოხამართლემ ბადრიას.
— ფეხბურთს, ბატონო!

ბადრიამ მანქანა გააჩრა.
— „პავროტნიკი“ რატომ არ მუშაობს?! ამისთვის
დაგაჩარიმეს! — უთხრა ბადრიამ მძღოლს.
— ხულ პირდაპირ სიარულს ვაპირებ, უფროსო! —
მოახსენა მძღოლმა ბადრიას.

— : — : —

ბადრიამ მანქანა გააჩრა. მძღოლი ნახვამი
ყო.
— ქარიშა! — უთხრა ბადრიამ, კვითარი გამოწერა
და მძღოლს გაუწოდა.
— რაღა წერილობით მომმართავ, შე კაი კაცო, და-
მისხი და დავდევი!

— : — : —

— რატომ არ ღვევ მოძრაობის წესებს?! —
ჭკითხა ბადრიამ მძღოლს.
— ვარღვევ, რუ არა, შენი აშენებუღია, შენმა
მზემ! — ძლივს წარმოთქვა მძღოლმა.

— : — : —


ბადრიას ერთი მოქალაქის განცხადება დააწე-
რეს.
მოქალაქეს მეზობელი უჩიოდა, მისმა ძაღლმა ქათ-
მი შემიპაშაო. მეზობლების გაუთავებელმა ჩხუბმა
ბადრიას თავი მოახერხა. ვერც შართალი და ვერც
მტყუანი რომ ვერ აღმოაჩინა, მაშინ განცხადებას წა-
აწერა: „ძაღლური ენის უცოდინარობის გამო საქმე
დახურულია“.

შეკრიბა მარბლო ბადრიამ



— სად მიგყავს, ქალო, ეგ კვერცხისმდებელი დე-
ღალი?!
— ქალაქიდან დამ შემომითვალა, კვერცხის კრიზისი
გვაქვსო და მასთან ვაგზავნი მივლინებით!

ნახ. დ. ზარაფიუვილინა



შურნალი „ნიანბი“ №19-
20. (1846). ოქტომბერი.
გამოდის 1923 წლის იენი-
სიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ხოლძაძე

სარედაქციო კოლეგია.

ავთანდილ ადუიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
კახუა ამირეჯიბი, ნოზადი
ბართია, რევან თვარაძე,
ჭემალ ლოლუა (მხატვარ-
რედაქტორი), ნოდარ შალა-
ზონია, ალექსანდრე ხაბსო-
ნია, ზეჟან სიხარულიძე
(მთავარი რედაქტორის მო-
ადგილე), ჯანსუღ ჩარკვი-
ანი, თამაზ წიფვიძაძე.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადეცა ასაწყობად
4. 09. 91 წ. ხელმოწერი-
ლი დასაბუღლად 12, 12.
91 წ. ქალაქის ზომა
60x90¹/₈, ფიკურ ნაბე-
ჭლი ფურცელი 3. საად-
რიტგო-საგამომცემლო თა-
ბახი 3,6. საქართველოს
შურნალ-გაზეთების გამო-
ცემლობა „სამშობლო“.
შეგ. №1687. ტირ. 73 000.
ქურნალი გამოდის თვე-
ში ორჯერ. რედაქციაში
შემოსული მასალები აე-
ტორებს არ უბრუნდებათ.

ჩენი მისამართი: 880005.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარ.
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ.
მუშაკების — 99-02-38,
მდივან-მე მანქანის —
99-76-69.

Сатирико-юмористи-
ческий журнал «НИ-
АНГИ» (на грузинском
языке). Тбилиси, пр.
Руставели № 42. Ти-
мография журнально-
газетного издательства
Грузии «Самшобло».
ул. М. Коставы № 14.

ფასი 80 კაპ.

№18137